


noK 101975

2



ქალაქი ნაზვანი

25811 სპ 13 10975

2

RECEIVED 2015-19338


ს მ ლ ი კ ა

საშეაღმოსაქმნელი სასწავლებელთათვის

თბილისი

სტამბა „სახალხო საქმი“

1920



# წინასიტყვაობა.

1919 წელს გამოვეცი „ლოდიკის ეკუმენტიკური კურსი“. იგი შეიცავდა მომეტებულად უნივერსიტეტში წაკითხულ კურსის კონსპექტს და სტუდენტებისათვის მართლაც სასარგებლო აღმოჩნდა, როგორც დამხმარე საშუალებას ლექციების მოსმენისა და შეთვისების დროს. მიუხედავად ამისა საუნივერსიტეტო კურსი ლოდიკის უნდა შეიქმნას მახლობელს მომავალში და შეიქმნება კიდევ.

საშუალო სასწავლებლისათვის „ეკუმენტიკური კურსი“, ჩემის დაკვირვებით, არ გამოვიყენებ. სახელმძღვანელო მინდობის მიხედვით კურსებს უნდა მიმართონ მასწავლებლებს. ამიტომაც, მე „ეკუმენტიკური კურსი“, რომელიც იგი გამოსადეგი გამხდარიყო როგორც ლოდიკის სახელმძღვანელო საშუალო სასწავლებლისათვის.

ჩემის აზრით საშუალო სასწავლებლის კურსი ლოდიკის უნდა ამოიწერებოდეს ძირითად ცნებათა შესწავლით. რა თქმა უნდა, დამასხსიათებელი კავშირი ნაწილებისა თვალნათლივ უნდა იხსებოდეს მოსწავლის ცნობიერებაში. სხვა და სხვა თეორიები და კმათა ამა თუ იმ საკითხის შესახებ სახელმძღვანელოში შედგებოდეს უნდა ჩაითვალოს.

ლოდიკაში, ისე როგორც ეოკლეივე მეცნიერებაში, მაგალითები აუცილებელია ზირობას სიცხადის ხელსახებისა, შავრამ არც მეტი და არც ნაკლები. შედგენილი დამძაძება სახელმძღვანელოისა მაგალითებით სახითათა იმ მხრავ, რომ საშუალო სასწავლებლის კურსს გარდაქცევს გრამატიკულ ვარჯიშობათ, რაც ლოდიკისათვის სრულიად მიუღებელია.

შალვა ნუცუბიძე.

## ხაწილი პირველი.

### წინასწარი განმარტებანი

**§ 1. ლოღიკის სახელწოდება.** ლოღიკა ძველ საბერძნეთში შეიქმნა. მის მამამთავრად ითვლება ფილოსოფოსი **არისტოტელე** თუმცა თვით სახელწოდება ამ მეცნიერებისა სხვებს ეკუთვნის. წარმოიშვა სახელწოდება „ლოღიკა“ ბერძნულ „ლოგოს“ იდგან, რომელიც ერთსა და იმავე დროს **სიტყვა-საც** ნიშნავს და მასში ე. ი. სიტყვაში გამოთქმულ აზრსაც.

ამის და მიხედვით ჯერ კიდევ იმ თავით ყურადღებას აქცევდენ ან გარეგან ფორმას აზრისას, ან მისს შინაარსს. პირველ შემთხვევაში შეისწავლიდენ ხოლმე მარტოოდენ ფორმალ სისწორეს და ლოღიკასაც ფორმალ ლოღიკად უწოდებდენ, მეორე შემთხვევაში—შინაგანს ანუ საგნობრივ სისწორეს და ლოღიკასაც საგნობრივს ეძახდნენ. სხვა და სხვა დროს გაბატონებული იყო ესა თუ ის ლოღიკა. მაგ. თვით **არისტოტელე** საგნობრივ ლოღიკის მომხრე იყო, საშუალო საუკუნოებში კი ფორმალ ლოღიკა იყო გაბატონებული.

**2 §. ლოღიკის საგანი.** ლოღიკა შეისწავლის ადამიანის აზროვნების სისწორეს, ე. ი. იმ გზას, რომლითაც ჩვენ მივდივართ ჭეშმარიტებისაკენ. ჭეშმარიტება კი ადამიანის შემეცნების მიზანია. მაშასადამე, ლოღიკა ემსახურება აზროვნების საბოლოო მიზნის—ჭეშმარიტების მიწოდებას.

აქედგან ორი რამ ცხადი ხდება: ა) რამდენადაც ჩვენ ვეცნობით ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას, ჩვენ თვითონ ჭეშმარიტების შეწავლის საშუალებაც გვეძლევა. ეს არი პირველი ანუ დადებით საგანი ლოღიკისა.

ბ) რამდენადაც ჩვენ ვიცით სწორი გზა ჭეშმარიტებისაკენ, იმდენადვე ცხადი ხდება ის გზაც, რომლითაც ჩვენ **არ უნდა მოვდიოდეთ** აზროვნებაში. ასეთია მეორე, ანუ უარყოფითი საგანი ლოღიკისა.

**§ 3. ფორმალი და საგნობრივი ქეშმარიტება.** როგორც ვნახეთ, ყოველი აზრი შეიძლება ორგვარად იყოს შეფასებული სისწორის თვალსაზრისით. ამის და მახეფივით ქეშმარიტებაც ორგვარია: გარეგნული ანუ ფორმალი, და შინაგანი ანუ საგნობრივი. პირველის მაგალითი:

ძლიერები ყოველთვის ბატონობდენ უძლურებზე.  
დევები ადამიანებზე ძლიერები იყვენენ.

მაშასაბამე—დევები ყოველთვის ბატონობდენ ადამიანებზე.

აქ გარეგნულად ერთი აზრი მეორედან წესიერად გამომდინარეობს, ე. ი. დაცულია ფორმალი წესიერება და ამიტომაც ვიღებთ ფორმალ ქეშმარიტებას, ხოლო სინამდვილეში არსებობდენ თუ არა დევები—ჩვენ არ ვარკვევთ. საგნობრივ ქეშმარიტების მაგალითი: ყოველი ადამიანი მომაკვდავია.

სოკრატე—ადამიანია.

მაშ. სოკრატე—მომაკვდავია.

ამ შემთხვევაში დანასკვი ისევე წესიერადაა მიღებული როგორც პირველ შემთხვევაში ე. ი. იგი ფორმალი ქეშმარიტებაცაა, მაგრამ ამის გარდა იგი საგნობრივადაც სწორია.

თუ უკანასკნელ გარემოებას დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ფორმალი ქეშმარიტება შეიძლება არსებობდეს გარეშე საგნობრივ ქეშმარიტებისა, ხოლო საგნობრივისათვის აუცილებლად სავალდებულოა, რომ იგი ფორმალადაც სწორი იყოს. მაგალ. ყოველი ადამიანი მომაკვდავია

სოკრატე ადამიანია

მაშას. სოკრატე—ბრძენია.

სოკრატეს სიბრძნეზე ერთი სიტყვაც არ თქმულა ჩვენს მსჯელობებში და შეუძლებელია, რომ იგი დანასკვი შევითანოთ. მართალია, მსჯელობა სოკრატე—ბრძენია—საგნობრივად სწორია, მაგრამ იგი ჩვენს მსჯელობას არ შეეხება.

**§ 4. ლოდიკის მსაზვნელობა.** ლოდიკის მიზანია შეისწავლოს სწორი აზროვნების წესები. მაგრამ შეცდომა იქნება

ვიფიქროთ, რომ ლოღიკის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ახალი ჭეშმარიტებანი. ახალი აღმოჩენები ადამიანის ბუნებრივი ნიჭის საკმეა და ლოღიკის გაზეპირებით არც ერთს დიდ მეცნიერს არ აღმოუჩენია ახალი რამ. მართალია, ამ შემთხვევაშიაც აზროვნება ემორჩილება ლოღიკის კანონებს, მაგრამ ეს ხდება თავისთავად, ე. ი. შეუცნობლად,

მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს ლოღიკის შეცნობილ შესწავლას? ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ლოღიკის კანონების და წესიერი აზროვნების შესწავლით ადამიანისთვის ადვილი ხდება შეცდომებისაგან თავის დაცვა.

**§ 5. ლოღიკა და ფსიქოლოგია.** ლოღიკისა და ფსიქოლოგიის დამოკიდებულება ერთგვარ დავას იწვევს. ამ საკითხის შესახებ სამი აზრი არსებობს: 1) ერთნი ფიქრობენ, რომ ლოღიკა ფსიქოლოგიის ნაწილია; 2) მეორენი—რომ ფსიქოლოგია თვით ექვემდებარება ლოღიკას; 3) მესამენი კი იმ შეხედულებისანი არიან, რომ ლოღიკასა და ფსიქოლოგიას თავთავიანთი დარგები აქვთ. რა საბუთებს ემყარება თითოეული შეხედულება?

1) ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის სულიერ მოვლენებს; აზროვნება—ერთი სულიერ მოვლენათაგანია. ლოღიკა, როგორც აზროვნების შემსწავლელი მეცნიერება, ფსიქოლოგიის—ნაწილია. ასეთია პირველ მიმართულების საბუთი.

2) ლოღიკა—ჭეშმარიტების წესებს შეისწავლის; ყოველი მეცნიერება—ჭეშმარიტებას ემსახურება; მაშასადამე, ლოღიკის კანონები ფსიქოლოგიისთვისაც სავალდებულონი არიან. ე. ი. ფსიქოლოგიაც ლოღიკას ემორჩილება. ასე მსჯელობს მეორე მიმართულება.

3) დიდი განსხვავებაა იმის შუა რაღა არის და რაღა უნდა იყოს, ფსიქოლოგია, მართალია, შეისწავლის ადამიანის აზროვნებას, მაგრამ იღებს მას იმ სახით, როგორც ის არის; ლოღიკა კი შეისწავლის იმავე აზროვნებას იმ მიზნით, თუ როგორი უნდა იყოს იგი ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ამიტომაც; თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი საგანი

აქვს, და არც ლოლიკა ექვემდებარება ლოლიკას და არც უკუქცევით.

**§ 6. ლოლიკის ნაწილები.** ლოლიკა ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი შეეხება ადამიანის აზროვნების შემადგენელ ქლემენტებს; მეორე—ამ ნაწილების შეერთებას. შემადგენელი ნაწილები თავის მხრივ შეიძლება იყონ მარტივი და რთული. მაგ. მარტივია ცნება „სიდიდე,“ „მომაკვდავობა“ და სხვ.; რთულია რამოდენიმე ცნების შეჯგუფება, ანუ სალოლოგიზმი. ნაწილების შეერთებას მიზნად აქვს ადამიანის შემეცნების სურათის წარმოდგენა. იგი ყოველთვის მთლიანია და ლოლიკის მეორე ნაწილი ამ მთლიანობის კანონებს გვასწავლის.

ლოლიკის ორივე ნაწილს საფუძვლად უდევს ძირითადი კანონები. ეს ის კანონებია, რომლის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია ვიაზროვნოთ. ამიტომაც, ლოლიკაში შესასვლელად საჭიროა ძირითადი, ანუ აზროვნების კანონების შესწავლა.

### **აზროვნების კანონები.**

**§ 7. ოთხი კანონი აზროვნებისა.** აზროვნების კანონებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მათი დაცვა აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც შეუძლებელია კემშარიტების გაგება; ამიტომაც დაერქვა მათ კანონის სახელი.

ლოლიკა არჩევს აზროვნების ოთხ კანონს. ყველა ეს კანონი ერთსა და იმავე დროს არ იყვენენ აღმოჩენილი, მაგრამ თვით აზროვნებისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს: ადამიანის აზროვნება, უეჭველია, ექვემდებარებოდა ოთხსავე კანონს მანამდისაც, ვიდრე რომელიმე მათგანი იქნებოდა მეცნიერების მიერ აღმოჩენილი.

**§ 8. იგივეობის კანონი.** პირველი მათგანი გვასწავლის რომ, აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საგნები და ცნებები, რომელნიც შეადგენენ შემეცნების მასალას, შემეცნების განვითარების დროს უცვლელი რჩებიან

და ერთსა და იმავე მნიშვნელობით იხმარებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგულია მტკიცე საფუძველი და აზროვნება ველარაფერს დაემყარება. „თოვლი თეთრია“, ვამბობთ ჩვენ და ვგულისხმობთ, რომ ჩვენი წარმოდგენა თოვლის შესახებ უცვლელი რჩება, ვიდრე ამ მსჯელობას ვახდენთ. ეს მნიშვნელობა დაიკარგებოდა, თუ მეორე წუთსვე შეიცვლებოდა ჩვენი წარმოდგენა თოვლზე. ყოველივე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, მუდმივ რომ იცვლებოდეს შემეცნება შეუძლებელი გახდებოდა.

ამიტომაც ერთსა და იმავე დროს იგივეობის კანონი როგორც აზროვნების, ისე სინამდვილის საფუძველია. როგორც აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე მნიშვნელობისაა ესა თუ ის ცნება, ისე ბუნებაც არსებობს იმდენად, რამდენადაც მოვლენები ერთსა და იმავე კანონებს ემორჩილებიან.

ჩვეულებრივი ფორმა იგივეობის კანონისა არის  $A=A$ . ფორმა საშუალო საუკუნეებში იყო გამომუშავებული და სახელწოდებაც მაშინ მიიღო.

**§ 9. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი.** ამ კანონს ჩვეულებრივად უწოდებენ წინააღმდეგობის კანონს, რაც მიუღებელია, რადგან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კანონი მოითხოვდეს აზროვნებაში წინააღმდეგობის განხორციელებას. ნამდვილად სწორედ რომ არ შეიძლება ჰეშმარიტი აზროვნება, თუ ნააზრევი შეიცავს წინააღმდეგობას. ამიტომაც ინგლისელმა ლოდიკოსმა დამილტონემ სრულიად სამართლიანად უწოდა მას წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი.

ამ კანონის ფორმაა: ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება  $S$   $P$ -ც იყოს და არა  $P$ -ც. უკვე—არისტოტელე შემდეგ ნაირად გამოსთქვამდა მას: არ შეიძლება ერთსა და იმავე საგანს კიდევ ქონდეს და არც ქონდეს რაიმე ნიშანი ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე მიმართებით. ეს დამატება საჭიროა, რადგან შეიძლება ადამიანი უწვეროც



იყოს და წვერიანიც, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს სხვადასხვა დროს შეეხება. სიყრმისას იგი უწვეროა, მაგრამ დავაჟკაცებისას წვეროსანი. ანუ კრდევე: შეიძლება ადამიანი მაღალიც იყოს და დაბალიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ მიმართება სხვადასხვაა. იგი დაბალია შედარებით მაღალ ადამიანთან, და მაღალი მასზე დაბალის მიმართ.

**§ 10. საკმაო საფუძვლიანობის კანონი.** ყოველ აზრს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი საკმაოდ საფუძვლიანია. დაუსაბუთებელი აზრი მნიშვნელობას მოკლებულია და შემცდარი. ეს პირობაც სწორი აზროვნებისა იმდენად ადვილი გასაგებია რომ იგიც მიჩნეულია ლოგიკის ძირითად კანონად.

საკმაო საფუძვლიანობის კანონი დაკავშირებულია. როგორც საყოველთაო სავალდებულოსთან კეშმარიტებასთან. არისტოტელემ არ იცოდა ეს კანონი და ახალ დროში იგი აღმოაჩინა ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა (†1716 წ.). საკმაო საფუძვლიანობის კანონს ორი მხარე აქვს: ერთი, რომელიც შეეხება სინამდვილეს, და მეორე, რომელიც შეეხება აზროვნებას. პირველი გულისხმობს ისეთ მოვლენას, რომელიც საკმაოა მეორე მოვლენის გამოსაწვევად. ასეთ მოვლენას ეწოდება მიზეზი. მეორე მოვლენა მაშინ მისი შედეგია; მეორე შემთხვევაში საქმე შეეხება აზრის საფუძველს, და მისგან გამოყვანილი აზრი დანასაკვად იწოდება. ასე მაგალითად: ცეცხლი და სითბო მიზეზობრივობის ნაწილებია: ცეცხლი—მიზეზია, სითბო შედეგი. ხალხი ჩვენი მსჯელობა „ცეცხლი ათბობს“ მთელს მოვლენას ემყარება, როგორც თავის საფუძველს.

**§ 11. გამორიცხულ შესამის კანონი.** ეს კანონი მოითხოვს, რომ ერთი ცნება მეორისადმი უნდა იყოს ან დადებითს ან უარყოფითს მიმართებაში; შესამე რამ შეუძლებელია, ან გამორიცხული. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში დაშვებულია მხოლოდ ერთი გარკვეული ნიშანზე, მაგ. სიწითლეზე „ყვედარი ან წითელია ან არაწითელი.“

მაშასადამე გამორიცხუ მესამის კანონი არ  
კვეცს, რომ ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება ან  
ეკუთვნოდეს, ან არ ეკუთვნოდეს საგანს—მესამე  
შეუძლებელია ანუ გამორიცხული:

**§ 12. ნორმატიული და ბუნებრივი კანონები.** აზრო-  
ვნების კანონების შესახებ საინტერესოა ვიკითხოთ წარმოად-  
გენენ თუ არა იგინი კანონებს, რომელთაც ჩვენ ბუნებ-  
რივად, თავისთავად, ე. ი. ჩვენგან შეუცნობლათაც ვემორჩი-  
ლებით, თუ, პირიქით, ჩვენის მხრივ ერთგვარი ძალდატანება,  
ერთგვარი შეცნობილი განზრახვაა საჭირო, რომ ჩვენი აზროვ-  
ნება ამ კანონებს დავუმორჩილოთ. პირველ შემთხვევაში აზ-  
როვნების კანონები იწოდებიან ბუნებრივ კანონებათ,  
რადგან იგულისხმება რომ იგინი თვით ჩვენს ბუნებასთან არიან  
დაკავშირებული, ხოლო მეორე შემთხვევაში ნორმატიულ  
კანონებათ, რამდენადაც იგინი ჩვენს ბუნებასთან არ არიან და-  
კავშირებული, და ჩვენ ვემორჩილებით მათ როგორც სა-  
ვალდებულო ნორმას.

ამ საკითხის შესახებ სამი მთავარი თვალსაზრისი არსე-  
ბობს: 1) აზროვნების კანონები ნორმატიული ბუნების არიან  
2) აზროვნების კანონები ბუნებრივი არიან და 3) ნაწილობ-  
რივად ბუნებრივი და ნაწილობრივად ნორმატიული. ყოველ  
აღნუშნულ შეხედულებას თავისი დამცველი ჰყავს მეცნიერე-  
ბაში და კამათი ჯერაც დაუმთავრებელია.

აზროვნების საგანია სინამდვილე, და, თუ ეს პირობა და-  
ცული არაა, აზროვნება მოჩვენებაა და ყოველსავე ღირებუ-  
ლებას მოკლებული. ლოდიკა მეცნიერებაა შესახებ იმ გზებისა  
და პირობებისა, რომელთა მეოხებით აზრი ქეშმარიტია, ე. ი.  
სინამდვილესთან დაკავშირებული. ამიტომაც ძირითადი პრინ-  
ციპები ანუ კანონები აზროვნებისა ერთის მხრივ არსს ანუ სი-  
ნამდვილისს უნდა შეეხებოდენ და მეორეს მხრივ აზროვნების  
ბუნებას გამოხატავდენ; ამიტომაც აზროვნების ძირითადი  
კანონები ხილთა, არსსა და აზრს უნა გადებულნი.

ძირითადი პრინციპების გათვალისწინების შემდეგ საქიროა გამოვარკვიოთ ბუნება იმ მთავარ იარაღისა, რომელსაც ხმარობს ჩვენი აზროვნება თავის გაშლა-განვითარების დროს. ასეთი იარაღია ცნება.

### ცნება.

**§ 14. ცნების განმარტებ.** აზრი საგანთა და მოვლენათა არსებით ნიშნების შესახებ იწოდება ცნებად. ასეთია ჩვეულებრივი განმარტება. აქედან უხადია, რომ ცნების გაგება დაკავშირებულია როგორც ნიშნების გაგებასთან ისე იმ განსხვავებასთან, რომელიც არსებობს სხვადასხვა ნიშანთა შორის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გასაგები გახდეს, რომელი ნიშანი იწოდება არსებით ნიშნად. ყველა ამის გათვალისწინების შემდეგ ჩვენ მივიღებთ ცნების საბოლოო განმარტებას.

**§ 14. ნიშნებ.** ყოველივე საგანს აქვს თავისი ნიშნები: თოვლი — თეთრია, ცივი, რბილი და სხვ. ხე — ტოტებიანი, ფოთლიანი დი სხ. საგანი ანუ მოვლენა — ეს მხოლოდ საერთო სახელია ნიშანთა გარკვეული ჯგუფისათვის. ყველა ამ ნიშნის მეოხებით ვეცნობით ჩვენ მოვლენებს და საგნებს და ჩვენი ცდა იმდენად სრულია, რამდენად მეტი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ ნიშნებზე. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ნიშნების მეოხებით ჩვენ ვეცნობით საგნის ანუ მოვლენის ხასიათს. მაშასადამე ნიშანია ის, რითაც დახასიათდება საგანი ანუ მოვლენა.

ნიშნები გაიყოფებიან იმის და მიხედვით, თუ რამდენს საგანს ანუ მოვლენას ახასიათებენ. შესაძლებელია რამოდენიმე საგანს ანუ მოვლენას ერთი და იგივე ნიშანი აღმოაჩნდეს, მაგ. ყოველ ადამიანს, მიუხედავად მისი ტომისა და შთამომავლობისა, ახასიათებს ისეთი რამ, რაც საერთოა ყოველი ადამიანისათვის: მაგ. გონიერება, ორფეხიანობა და სხვ. ასეთი ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მოვლენათა მთელ რიგს, იწოდებიან ზოგად ნიშნებად.

იმავე დროს შესაძლებელია ყოველ მოვლენას ანუ საგანს ახასიათებდეს ისეთი ნიშანი, რომელიც კერძოდ მას მიეკუთვნება. ასეთი ნიშანი იწოდება კერძოობითი ნიშნად. ასეთია, მაგალითად, სახის ფერი ანუ მოყვანილობა ამა თუ იმ კერძოდ აღებული ადამიანისა.

რადგან ნიშანი დახასიათებაა, შეიძლება უკანასკნელი ან მხოლოდ ერთი ნიშნით მოხდეს, ან საჭირო შეიქნეს რამოდენიმე ნიშნის შეერთება. ეს ერთნაირად შეეხება როგორც ზოგადს, ისე კერძოობით ნიშანს. ორფეხიანობა საკმაო ნიშანია ადამიანის ერთის მხრით დახასიათებისათვის და იმდენადვე მარტივი, მაგრამ სახის გამომეტყველობა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ ადამიანს, უკვე რამოდენიმე ჩაწილისაგან შესდგება (ფერი, სახის მოხაზულობა და სხვ.) ამრიგად, როგორც ზოგადი, ისე კერძოობითი ნიშნები შეიძლება იყოს ან მარტივი, ან რთული.

ყოველს მოვლენას ანუ საგანს აქვს ისეთი ნიშანი, რომელიც მის დახასიათებაში უფრო ნაკლების მნიშვნელობისაა და ისეთი, რომელიც უფრო მეტი მნიშვნელობისაა. მაგალითად, ადამიანის დახასიათებას არ სცვლის მისი კანის ფერი, ან სიმაღლე და სხვ. ხოლო უვუნურება, ანუ ცალფეხიანობა—უკვე ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, ანუ არსებას. ანუ კიდევ: მუხას ახასიათებს ყოველივე ის, რაც სხვა ხეებს, და, გარდა ამისა, განსაკუთრებული ფორმის ფოთლები და კანი. გამოვაკლებთ თუ არა ამ განსაკუთრებულ ნიშნებს, ჩვენ უკვე აღარ გვეჩნება მუხა. მაშასადამე, ეს ნიშნები მუხის როგორც ასეთის არსებით ნიშანს შეადგენენ.

**§ 15. არსებითი ნიშნები.** როგორც ვხედავთ თითოეულ საგანს მრავალი ნიშანი ახასიათებს. როგორ ამოვარჩიოთ მათ შორის არსებითი ნიშნები ე. ი. ის, რაც გვჭირია ცნების შესადგენად? ირკვევა, რომ არსებითი ნიშანიც შეიძლება სხვა და სხვა

დროს სხვა და სხვა იყოს. მაგალითად: არსება, რომელმაც შექმნა მეცნიერება, უექველია, იგივე ადამიანია, და არა რომელიმე სხვა ცხოველი. ამ შემთხვევაში ჩვენ არც ერთი ზემოაღნიშნული ნიშანი ადამიანისა არ დაგვჭირებია და მიზანს მაინც მივაღწიეთ, ე. ი. დავახასიათეთ ადამიანი. ანუ კიდევ: ხე, რომელიც რკინის გზის ლიანდაგისთვის, ყველაზე გამოსადეგარაა — არის მუხა. ამრიგად, ძალიან ხშირად შეგვიძლია სულ სხვადასხვა ნიშანი მივიღოთ როგორც არსებითი. ამ შემთხვევის ასახ'ნელად ლოლიკა გვასწავლის, რომ არ არსებობს ჩვენ გან ე. ი. ადამიანისაგან დამოუკიდებელი განჯგუფება ნიშნებისა და ყოველი დახასიათება მიმართებითია იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით ვეცნობით ჩვენ საგანს ანუ მოვლენას. ამიტომაც, თუ „მუხას“ ვეცნობით მეცნიერულის თვალსაზრისით (მაგ. ბოტანიკის ანუ, უფრო სწორედ, დენდროლოგიის) მაშინ მისი ნიშნები ერთია; თუ კი იმავე მუხას მიუდგებით სარკინისგზო სამშენებლო თვალსაზრისით — მაშინ კიდევ სხვა. მაშასადამე, არსებით ნიშანთა განჯგუფება დამოკიდებულია ჩვენი ე. ი. ადამიანის თვალსაზრისიდან.

**§ 16. არსებითი და არა არსებითი ნიშნები.** — მაშასადამე, სხვადასხვა თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ყოველი თითოეული ნიშანი მივიჩნიოთ როგორც არსებითი. მაგ. არისტოტელეს ფილოსოფიის თვალსაზრისით ჩვენ დავახასიათებთ როგორც ლოლიკის მამამთავარს; მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით კი — როგორც ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელს და ასე ბოლომდე.

ამის გამო უნდა ითქვას, რომ არა არსებითი ნიშანი არ არის და ყოველი ნიშანი სხვადასხვა თვალსაზრისით არის არსებითი, ეს გარემოება სრულიადაც არ სცვლის ცნების განმარტებას (როგორც არსებით ნიშანთა კრებულისა), რადგან ნაც ყოველ თითოეულ შემთხვევაში ჩვენ უექველად წარჩევთ აღებული თვალსაზრისით ერთ ნიშანს მეორისაგან. მაგალ. არისტოტელეში მსოფლიო ისტორიის შესწავლისას

არსებითი ნიშნად ვსთვლით, რომ იგი ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი იყოს და ამასთანავე არა არსებით ნიშნად, რომ მან სილლოგისტიკა აღმოაჩინა.

**§ 17. ტერზინი.** ყოველ ჩვენ აზრს რაიმე სიტყვით გამოვხატავთ. სიტყვების მნიშვნელობა და ღირებულება მრავალგვარია. ზოგი მათგანი მხოლოდ ერთ საგანს გამოხატავს—ასეთი ბუნებისანი არიან მომეტებულათ საკუთარი სახელები, მაგ., აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე. ასეთი სახელწოდების დანიშნულებაა მხოლოდ ერთ გარკვეულ საგნის მონიშნება.

ამათგან გაიჩვევიან ის სიტყვები, რომლებიც ერთსა და ომზე დროს საგანთა სიმრავლეს გამოხატვენ. ასეთია ყოველი ე. წ. არსებითი სახელი, მაგ., ადამიანი, მაგიდა და სხვა. ერთი და იგივე სიტყვა მონიშნეა არა მხოლოდ გარკვეული საგნის ნიშანთა კრებულისა, არამედ ამ ნიშანთა გამორკვევასთან ერთად ის შეეხება მოვლენათა მთელ რიგს. ასეთი სიტყვები არიან თ ა ნ ა მ ო ნ ი შ ნ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი.

ლოგიკისაზვის მეტი მნიშვნელობა აქვს თანამონიშნე სიტყვას, რადგან ცნების გამოსახატავად იგი ყველაზე მართებულია. ასეთი ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი გ ა მ ო ს ა ხ ვ ა ც ნ ე ბ ი ს ა ი წ ო დ ე ბ ა ტ ე რ მ ი ნ ა დ.

**§ 18. წარმოდგენა და ცნება.** წარმოდგენასა და ცნებას შორის ლოლიკა ერთგვარ განსხვავებას გულისხმობს. წარმოდგენა ჩვენი სულიერ ცხოვრების ის მხარეა, სადაც ცნობიერების ერთგვარ თვისების მეოხებით გარეშე მოვლენები და საგნები ჩვენი გონების წინ სდგებიან. როგორ ხდება ასეთი დაყენება გარეშე საგნებისა ჩვენი გონების წინ ამას არკვევს მეცნიერება სულიერ ცხოვრების შესახებ, ანუ ფსიქოლოგია. ლოლიკა ვალდებულია გაარკვიოს უკვე გამომუშავებული წარმოდგენის მნიშვნელობა ქეშმარიტების შემეცნების თვალსაზრისით.

წარმოდგენის შინაარსს შეადგენენ მოვლენათა ანუსაგნების ყველა ნიშანი, ე. ი. გარჩევა არსებითისა და არაარსები-

თი ნიშნებისა არ აინტერესებს ფსიქოლოგიას, მაგ. არისტოტელეში ფსიქოლოგია ერთნაირის ინტერსებით არჩევს ყველა ნიშანს. ცნების შინაარსსკი, როგორც ვიცით, შეადგენენ მხოლოდ არსებითი ნიშნები.

**§ 19. ზოგადი წარმოდგენა და ცნება.** არის ერთი ჯგუფი წარმოდგენებისა, რომელთა საგანს შეადგენენ აზაკერძობითი ნიშნები ანუ მოვლენები, არამედ მთელი ჯგუფი. ასეთია მაგალითად „ადამიანის“ წარმოდგენა. ამ შემთხვევაში თითქოს ლოდიკის „ცნება“ და ფსიქოლოგიის „ზოგადი წარმოდგენა“ ერთი და იგივეა.

ფსიქოლოგიის ზოგად წარმოდგენას აკლია ის გარკვეულება და საყოველთაობა ნიშნების განჯგუფებაში, რომელიც უეჭველად თან ახლავს ლოდიკის ცნებას. მაგალ., ადამიანის ზოგად წარმოდგენაში ადვილად შეიძლება დაცულ იქნას ლოდიკის მიერ ნაგულისხმევი ნიშნები; ადამიანი—ორფეხიანი, გონიერი და სხვა, მაგრამ მიმატებულ იქნას თუნდაც „საზოგადოებრივი ალლოს მქონე“. ასეთი დახასიათება სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება (არისტოტელეს შემდეგ ამას ყოველ მოსახვევში იმეორებენ, და ადვილად შეიძლება ზოგად წარმოდგენის ნაწილს შეადგენდეს) ლოდიკისთვის კი ეს მიუღებელია, რადგან შედმეტი ნიშანია. მართლაც და „საზოგადოებრივი ალლო“ მარტო ადამიანს არ ახასიათებს, არამედ ბევრ სხვა ცხოველსაც შეეხება.

მაშასადამე: ზოგად წარმოდგენის შინაარსს შეადგენს ყოველივე (და არა ყოველი) ნიშანი, რომელიც სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება; ცნების შინაარსს შეადგენს მხოლოდ ზოგიერთი (მაშასადამე, არა ყოველივე) ნიშანი, რომელიც სინამდვილის არსებით მხარეს გამოხატავს

**§ 20. ცნების შინაარსი და მოცულობა.** ნიშანთა კრებული, რომელიც საკმარისია ცნების გამოსახატავად, მის შინაარსს შეადგენს. მაგ., „ადამიანი“ როგორც ცნება დახასიათდება ნიშნებით: ორფეხოვანი, გონიერი და ცნობიერი: არსება.

ნიშნები „ორფეხოვანი,“ „გონიერი“ და სხვა ცნების შინაარსს წარმოადგენენ. ახლა თუ ვიკითხავთ, რამდენ საგანს ანუ მოვლენას გამოხატავს ის განსაკუთრებული ჯგუფი ნიშნებისა, რომლებიც ცნების შინაარსს შეადგენენ, მივიღებთ იმას, რასაც ცნების მოცულობა ეწოდება. მაშასადამე—საგანთა ანუ მოვლენათა ჯგუფი, ერთი ცნებისთვის დაქვემდებარებული, ამ ცნების მოცულობათ იწოდება.

როდესაც ცნების მოცულობაზეა ლაპარაკი ერთი რამ უნდა გავარკვიოთ: რას ნიშნავს ცნებისთვის დაქვემდებარება? მაგალ., ცნება „ადამიანი“ თავისი არსებითი ნიშნებით ვრცელდება როგორც ევროპიელზე, ისე აზიელზე, როგორც ფრანგზე, ისე გერმანელზე და სხვ. მაშასადამე, ყველა ეს მოვლენები როგორც იმ არსებით ნიშნების მატარებელნი, რომლებიც აღნიშნულია ცნების შინაარსში, მიეკუთვნებიან ცნება „ადამიანს“, ანუ მას დაქვემდებარებიან. კიდევ შეტი: შეიძლება ორი ერთგვარი მოვლენა ერთსა და იმავე ცნებას ეკუთვნოდეს. მაგალ., ფრანგი და ინგლისელი ერთგვარად დაქვემდებარებიან ცნებას „ევროპიელი“. ასეთ შემთხვევაში თანაბრად დაქვემდებარებულ ცნებებს უწოდებენ „თანადაქვემდებარე“ ცნებებს.

**§ 21 მიმართება ცნების შინაარსსა და მოცულობის შუა.** დაქვემდებარების საკითხთან დაკავშირებულია საკითხი ცნების მოცულობასა და შინაარსის მიმართების შესახებ. დაქვემდებარებულად ჩაითვლებიან ისეთი მოვლენები ანუ საგნები, რომელთაც ახასიათებენ ცნების არსებითი ნიშნები. ცხადია რომ არსებით ნიშანთა რიცხვსა, ე. ი. შინაარსისა და ცნების მოცულობის, ე. ი. დაქვემდებარებულ საგანთა რაოდენობის შორის უშუალო კავშირია. მაგ., თუ ჩვენ ჩამოვსთვლით ასეთ ნიშნებს: სამხრეთ ევროპაში მცხოვრები, მომეტებულად შავგვრემანი, ცოცხალი ტემპერამენტის მქონე, —საკითხი ღია რჩება, თუ ვინ სახელდობრ უნდა დაექვემდებაროს ასეთ ნიშანთა კრებულს. იგი ერთნაირად შეეხება როგორც ესპანელს,



ისე იტალიელს, ბერძენს და სხვ. თუ ჩვენ დავუმატებთ „ბენინის კუნძულზე მცხოვრები“, მაშინ იგულისხმება მხოლოდ იტალიელი, თუ კიდევ დავუმატებთ—ტიბრის ნაპირებზე უდიდეს ქალაქის მცხოვრები—რომის მოქალაქე, და ასე ამ რიგად შეიძლება ახალ ნიშანთა მიმატებით, ე. ი. შინაარსის გამდიდრებით ცნების „ევროპიელი“-ს მოცულობის თანდათანობით შემოფარგვლა.

ან კიდევ, მაგალ., მათემატიკიდან: ავიღოთ ცნება „ოთხკუთხედი“. მივუმატოთ ნიშანი—სწორკუთხედი—ე. ი. გავადიდოთ შინაარსი. ამით შევამოკლებთ ცნების მოცულობას. მართლაც და პირველ შემთხვევაში ცნება შეეხებოდა ყოველ ოთხკუთხედს. ნიშნის მიჭატების შემდეგ კი—მხოლოდ სწორკუთხოვან ოთხკუთხედს. თუ კიდევ ახალი ნიშანი მივუმატეთ—სწორი მხარეები—მაშინ კიდევ უფრო შემოიფარგლება ცნების მოცულობას, რადგან იგი მხოლოდ კვადრატს შეეხება. მაშასადამე—რამდენად რთულია შინაარსი, იმდენად მკირვა ცნების მოცულობა და პირიქით.

### ცნების გაყოფა.

§ 22. ცნების გაყოფა. სულ ადვილია ცნების გაყოფის შესწავლა. რაგვარადაც შედგენილია ცნება, იმ გვარადვე გაიყოფება. რადგან ნაწილები გამოიყვანებიან იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ ცნების შედგენილობაში. მაშასადამე ცნების შემადგენელ ნაწილებად დაშლა იწოდება ცნების გაყოფად; თვით ცნება კი, რომელიც იყოფა—გასაყოფ ცნებად. რადგან მომეტებულ შემთხვევაში ცნება მრავალი ნაწილისაგან შესდგება, რომელიც ერთიმეორეს ეჭვემდებარებიან, ამიტომაც თვით გაყოფა ერთგვარი თანდათანობით ხდება. ყოველი გამოყოფილი ნაწილი იწოდება გაყოფის წევრად. აი თანდათანობითი გაყოფის უბრალო მაგალითი:

„ა დ ა მ ი ა ნ ი“

თეთრი, შავი და სხვ.

ევროპიელი, ამერიკელი და სხვ.

ფრანგი, გერმანელი და სხვ.

კიდევ უფრო ნათელია მათემატიკურ ცნებათა გაყოფა მაგალითად:

„ოთხკუთხედი“

პარალელ მხარეებს არ მქონე. პარალ. მხარეების მქონე.

ტრაპეცია.

პარალელოგრამები

სწორკუთხედი პარალ.

არასწორკუთხედი

კვადრატი. მოგრძო სწორკუთხედი რომბი. — რომბოიდი

უპირველესად რას ვამჩნევთ ამ გეომეტრიულ მაგალითში? ჩვენ აქ გვაქვს თანდათანობითი გაყოფა. როგორ ხდება იგი? ოთხკუთხედის პირველი გაყოფა ცხადყოფს, რომ ორი წევრიდან ერთი გარკვეული ნიშნის მქონეა, მეორე კი არმქონე; სახელდობრ, პარალელ მხარეების. მაშასადამე, პრინციპი ასეთი გაყოფისა არის—ერთი და იმავე ნიშნის ქონება-არქონება. ამ მაგალითიდანვე ცხადია, რომ სრულიადაც არაა სავალდებულო, რომ ცნების გაყოფა მხოლოდ ორი წევრით ამოიწურებოდეს. ასე, მაგალითად უკვე მიღებულ წევრებს—ტრაპეციას და პარალელოგრამს—ჩვენ კვლავ ვყოფთ იმავე პრინციპის მიხედვით და საფუძვლად უდებთ მხოლოდ ერთი რწყვილი პარალელ მხარეების ქონებას და ორივე მხრივ პარალელობას. გამოდის, რომ განმეორებითი გაყოფის მეოხებით ჩვენ კვლავ ახალ წევრებს ვიღებთ.

ისეთი გაყოფა, სადაც მხოლოდ ორი წევრი გვაქვს, იწოდება ორწევროვან ანუ ბერძნული ტერმინით დიხოტომიურ გაყოფათ, სადაც სამი—სამწევროვან, ანუ ტრიხოტომიურ გაყოფად და სხვ.

გარდა ნიშანთა ქონება-არქონებისა ლოლიკას კიდევ აქვს მეორე პრინციპი გაყოფისა. მაგალითად:

კანის ფერის მიხედვით ცნება „ადამიანი“ გაყოფება:

თეთრკანიანი, შავკანიანი, წითელკანიანი, ყვითელკანიანი.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს პირველისაგან განსხვავებული პრინციპი ანუ საფუძველი გაყოფისა. აქ გაყოფის საფუძველი ექრთია: კანის ფერი, ხოლო მისი ცვლილებების მიხედვით გამოიყვანება ესა თუ ის წევრი.

**§ 23. განსხვავება ორი პრინციპის შუა.** ცნებათა გაყოფის ორი პრინციპის შუა შემდეგი განსხვავებაა: პირველი შედარებით მეორესთან უფრო ცხადია და მასთან უფრო შეუცდომელიც. რაც შეეხება მეორეს, იგი მოითხოვს ერთგვარ პირობების დაცვას, რომ შეცდომაში არ ჩავვარდეთ: 1) გაყოფის საფუძველი, რომლის ცვლილება იძლევა წევრებს, უნდა იყოს თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე. მაგალ. კანის ფერს რომ კულტუროსნობა დაუმატოთ, როგორც გაყოფის პრინციპი, წინდაწინვე ცხადია, რომ ჩვენ მივიღებთ გაყოფას განმეორებითი წევრებით: მაგ. ადამიანი—თეთრკანიანი, შავკანიანი, კულტუროსანი და სხვ. ცხადია, რომ თეთრკანიანი შეიცავს კულტუროსანს და ამიტომაც ერთი და იგივე ორჯელაა გამოყოფილი 2) აღებული ნიშნის ცვლილებები წინასწარ აღვილი წარმოსადგენი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაყოფა სრული არ იქნება, რადგან აღვილად გამოგვჩეხება რომელიმე წევრი, შეუცნობელ ცვლილებასთან დაკავშირებული; 3) ნიშანი ყველას ერთნაირად უნდა ესმოდეს., მაგ., არ ივარგებს ნიშანი „სილამაზე“, რადგან იგი ყველას თავის გემოზე ესმის.

**§ 24. გაყოფის საერთო წესები.** საერთოდ გაყოფას სამი კანონი აქვს, რომელთა დარღვევა შეცდომას მოასწავებს.

1) გაყოფის წევრთა რიცხვი უნდა ეთანაბრებოდეს გაყოფი ცნების მოცულობას მაგ., შეუძლებელია „ადამიანი“ გავყოთ თეთრზე და შავზე—რადგან აშკარაა, რომ გამოტოვებულია წითელკანიანი და სხვ.,—ასეთ შეცდომას ეწოდება ნაკლოვანი გაყოფა.

2) გაყოფილი წევრები ერთი მეორეს არ უნდა ხვდებოდნენ ანუ ფარავდნენ. მაგ. შეუძლებელია ასეთი გაყოფა: ევროპიელი, არაევროპიელი და თეთრკანიანი. ცხადია, რომ თეთრკანიანი იფარება ევროპიელით. ასეთი შეცდომა ლოლიკაში იწოდება მეტწევროვან გაყოფად, რადგან განშეორების გამო იმაზე მეტი წევრი გამოდის, ვიდრე საჭიროა.

3) ყოველ გასაყოფი წევრის სხვებისაგან განსხვავება ნათელი უნდა იყოს, მაგ., შეუძლებელია ასეთი წევრები: საქციელი მოსაწონი, არამოსაწონი. ასეთი შეცდომა იწოდება გაურკვეველ ანუ ბუნდოვან გაყოფად, რადგან არ სჩანს ნათლად, რას მივიჩნევთ მოსაწონად თუ არამოსაწონად.

**§ 25. გაყოფა და კლასიფიკაცია.** გაყოფასთან მჭიდროდ დაკავშირებულია მოვლენების განჯგუფება მათი შესწავლის ან პრაქტიკული მოქმედების მიზნით. არსებითი განსხვავება არაა გაყოფასა და კლასიფიკაციის შორის, რადგან აზროვნების მიმართვის მხრივ კლასიფიკაცია იმავე პრინციპებს ემყარება, როგორცაა გაყოფა. მთელი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ცნების გაყოფა აზროვნებას შეეხება, ხოლო კლასიფიკაცია—სინამდვილეს. მაგ. ბოტანიკოსი განაჯგუფებს მცენარეებს ვსთქვათ მათი ფოთლების შენების მიხედვით; ეს კლასიფიკაციაა, ხოლო როდესაც იგი უკვე მომხდარია, ლოლიკა გამოიყენებს მას მცენარეების ცნების გასაყოფად.

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა .

**§ 26. განმარტების ბუნება.** განმარტება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გვაქვს (თუნდა სმხოლოდ შეუცნობლად) ცნება, და განმარტებაში შეიძლება ისახებოდეს მხოლოდ ის, რაც ცნებაში იგულისხმება. ცხადია, რომ განმარტებამ უნდა მოგვცეს გაშლა, ანუ, როგორც ბერძნები იტყოდნენ, ანალიზი ცნების ბუნებისა. მაგ. ცნება „მაგარი სხეულებანი“ შეიძლება განმარტებულ იქნას მაშინ, თუ ჩვენ ვიცით მისი სახეობანი: სხვა და სხვა ლიონი, ჭეა, ჭე და სხვ

და განმარტებაშიაც შეიძლება იყონ მხოლოდ ამ საგნების დამახასიათებელი ნიშნები.

მოსალოდნელია, რომ განმარტება შეიცავს ისეთ წინადადებებს, სადაც აღნუსხული იქნება ცნების ნიშნები. როგორც კი ამის სისრულეში მოყვანას შეუდგებით, მაშინვე გამოიჩვენება, რომ ყველა ნიშნის აღნუსხვა ძნელი საქმე ყოფილა, რადგან ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ მოვლენის ყოველივე ასახება.

ჩვენ რომ შევეცადოთ განვმარტოთ ცნება მოცულობის მიხედვით, უკეთეს მდგომარეობაში არ ვიქნებით. აქაც ცხადია, რომ ყველა იმ სახეობას, რომელიც იგულისხმება ცნებაში, მაგ. მაგარ სხეულისა, რიცხვობრივად ჩვენ ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ ამოვსწურავთ. ამრიგად, როგორც შინაარსის მხრივ ისე მოცულობის მხრივაც, ჩვენს წინ იშლება განუზომელი სიღლიდე.

ლოლიკა შეჩერდა საკითხის ისეთ გარდაწყვეტაზე, რომელიც ორივე თვალსაზრისს გულისხმობს.

**§ 27. რეალი და ნომინალი განმარტება.** ლოლიკა არჩევს ორგვარ განმარტებას: ნომინალს ანუ სიტყვიერს და რეალს ანუ საგნობრივს. პირველი გულისხმობს, რომ ჩვენ არ ვეხებით ცნების შინაარსს, მხოლოდ მოვხაზავთ (და ისიც ბუნდოვანად) ცნების მოცულობას. მაგალ., „მშვენიერება“ არის საგანი ხელოვნებისა. ცხადია, ჩვენ მივეუთითებთ „მშვენიერების“ საერთო მიმართულებას, მაგრამ თვით მის დახასიათებას არ ვახდენთ.

თუ კი თვით შინაარსს აღვნუსხავთ, მაგალ. ადამიანი არის ორფეხოვანი, გონიერი, ცნობიერი არსება და სხვ., მაშინ გვაქვს ე. წ. რეალი ანუ საგნობრივი განმარტება.

**§ 28. განმარტების კანონები.** განმარტებესაც თავისი კანონები აქვს; მათი დარღვევა აუცილებელ შეცდომას მოასწავებს: 1) არ შეიძლება განმარტებისათვის გამოვიყენოთ ისეთი ბუნდოვანი ცნება, რომელიც თვით მოითხოვს განმარტებას. ასე მაგალ., არ შეიძ-

ლება „სილამაზე“ განმარტოთ, როგორც „განსახიერებული მშვენიერების იდეა“. ცხადია, რომ უკანასკნელი, ე. ი. განმარტება, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ გაუგებარია, ვიდრე თვით განსამარტავი ცნება.

2) განმარტება ლოლიკურ რკალს არ უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. არ შეიძლება შეიცავდეს ისეთ რასმე, რის გაგება-განმარტებისათვის იგივე განსამარტავი ცნებაა საჭირო. მაგალ. ჩვენ რომ ასეთი განმარტება დაუშვათ; აზროვნება არის აზრის გაშლა. აღნიშნულ შეცდომის უკიდურეს გამოხატულებას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა როდესაც ერთი და იგივე ცნება გამოდის როგორც განსამარტავიც და განმარტებაც. ასეთი შეცდომა იწოდება იგივეს იგივეთი განმარტებად ანუ „ტავტოლოგიად“, მაგ., პარლამენტი არის პარლამენტი..

3) არ შეიძლება განმარტება მხოლოდ უარყოფითი ხასიათის იყოს. ასეთი განმარტება შეცდომას მაინც და მაინც არ წარმოადგენს, მაგრამ თავის მიზანს ვერ აღწევს, რადგან ცნება მაინც განუმარტავი რჩება. კითხვაზე: როგორია ესა და ეს ადამიანი, ჩვენ ხშირათ ვუპასუხებთ — „არა უშავს რა“. ეს მაგალითია უარყოფითი განმარტების. ჩვენ ვიგებთ, რომ „არა უშავს რა“, მაგრამ თუ როგორია ბოლოს-და-ბოლოს განსამარტავი საგანი, არ ვიცით.

**§ 29. განმარტება გვარეობის და სახეობითი განსხვავების მეოხებით.** როდესაც ცნების მოცულობას ვეცნობოდით ჩვენ დავინახეთ, რომ ცნებათა დაქვემდებარება ერთგვარ კიბურს წარმოადგენს, რომლის საფუძვლებს გარკვეული ადგილები უჭირავს. ის ცნება, რომელიც იქვემდებარებს მეორეს, უკანასკნელის გვარეობათ იწოდება; ცნება დაქვემდებარებულთა მეორესათვის — უკანასკნელის სახეობად. მაგალ., „სწორკუთხედი“ — იქვემდებარებს კვადრატს და ამიტომაც მისთვის გვარეობას წარმოადგენს, ხოლო თვით „კვადრატი“, როგორც ერთერთი გამოსახება ოთხკუთხედისა — უკანასკნელის სახეობას.

ცხადია, რომ სახეობას არ შეიძლება ჰქონდეს, გარდა ერთი გვარეობისა, რომელიც მას უშუალოდ იქვემდებარებს. ეს არის უახლოესი გვარეობა; ხოლო ერთ გვარეობას შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე სახეობა. ჩვენ ვიცით, რომ ეს მისი მოცულობაზეა დამოკიდებული. მაგალ., სწორკუთხედის გამოსახებას წარმოადგენს გარდა კვადრატისა, მოგრძო სწორკუთხედიც. მიუხედავად ამისა, ყოველ სახეობას თან ახლავს განმასხვავებელი თვისება, რომლის მეოხებით ჩვენ მას ვასხვავებთ ერთ გვარეობისათვის თანაქვემდებარე სახეობათაგან. ასე მაგ., კვადრატი და მოგრძო სწორკუთხედი თანაქვემდებარენი არიან სწორკუთხედის მიმართ, მაგრამ იმავე დროს ერთი მეორისაგან განსხვავდებიან. ასეთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მხარეთა სისწორე, რომელიც ახასიათებს კვადრატს და აკლია მოგრძო სწორკუთხედს. ეს ნიშანი იწოდება კვადრატის სახეობითი განსხვავებად.

ახლა ცხადია, რა სიადვილით შეგვიძლია განვმარტოთ ესა თუ ის ცნება ცნებათა კიბურში მისი ადგილის გამორკვევით. ამისთვის საკმაოა ერთის მხრივ უახლოესი გვარეობის აღნიშვნა და მეორის მხრივ სახეობითი განსხვავების. მაგალითად, „კვადრატი არის სწორკუთხედი თანასწორ მხარეთა მქონე.“ სწორკუთხედი = უახლოესი გვარეობა; თანასწორ მხარეთა მქონე = სახეობითი განსხვავება. ასეთ განმარტებას ლოლიკა სთვლის ყველაზე მარტივად და მოკლედ. მას ეწოდება: განმარტება უახლოესი გვარეობისა და სახეობითი განსხვავების დახმარებით.

**§ 31. მიმართება ცნებათა შორის.** ცნებათა შორის სრულიად გარკვეული მიმართებაა, ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ცნება და მას დაუპირდაპიროთ ყველა მისგან განსხვავებული ცნებები. მაშინ გამოირკვევა, რომ განსხვავებული ცნებები ორ ჯგუფად გაიყოფიან: ერთ შემთხვევაში ორი ცნებიდან ერთი მეორის უარყოფაზე ან წინააღმდეგობაზეა აღმოცენებული და იწოდება მოწინააღმდეგე ცნებათ. მაგ. შავი და არა შავი. თუ უარყოფთ შავს, ყოველთვის მივიღებთ არა

შავს (სულ ერთია რა ფერის იქნება იგი) რმ შემთხვევაში კი, როდესაც უარყოფილ ცნების ანუ მისი ნიშნის ადგილზე მივიღებთ მისგან განსხვავებულს და მასვე დაუპირდაპირებთ— გვექნება მოპირდაპირე ცნება. მაგალ. მდიდარი, ლარიბი: ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში საქმეა მხოლოდ წინა-აღმდეგობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში—ახალ ნიშნების ძველისათვის დაპირდაპირებაში.

ცნებისათვის მოძღვრებას შეუძლია ამით ამოსწუროს ცნებათა შორის მიმართების შესწავლა, რადგან მსჯელობათა შესწავლის დროს იგივე საკითხი უფრო ბუნებრივ და ხელსახებ გამოსახვას ჰპოებს.

### მ ს ჯ ე ლ ო ბ ა .

**§ 41 . მსჯელობა და მისი შემადგენლობა.** მსჯელობა—აზროვნების უმარტივესი საშვალეაა. ჩვენს შემეცნებას საფუძვლად უდევს ცნება, რომელიც ყოველის მხრივ ჯერ კიდევ გამორკვეული არაა—ასე რომ არ იყოს, მთელი შემეცნება უკვე დამთავრებული იქნებოდა. მაგრამ ჩვენ მაინც ვიცით, რომ ყოველ ცნებას სრულიად გარკვეული შინაარსი და მოცულობა აქვს. ასეთი წინასწარი ცოდნა აუცილებელი პირობაა შემეცნებისათვის—რადგან, თუ ასეთი წინასწარი გარკვეულობა არ არსებობს, შემეცნება სრულიად შეუძლებელია. ჩვენ უკვე ვიცით, მაგ. იგივეობის კანონისმეოხებით, რომ თუ მსოფლიო მოვლენები ერთსა და იმავე ბუნებას არ შეინიჭებენ, ე. ი. თუ მათი სახეობანი წინასწარ გარკვეული არ არიან—შეუძლებელია აზროვნება და მასთან ლოლიკაც.

ეს წინასწარი გარკვეულება იგულისხმება ცნებაში. ამიტომ, რამდენადაც ცნება წინასწარ გარკვეულობას გულისხმობს, იმდენად იგი შემეცნების (მასთან მსჯელობის) პირობაა. ხოლო რამდენად მასში ჯერ კიდევ გაურკვეველობა იგულისხმება, იმდენად იგი შემეცნების (მსჯელობის) მიზანია. ლოლიკის ასეთი ორხმრიანობა ცნების ორ სახეობაში საკმაოდაა გამოსახული: წინა-



ნასწარი გარკვეულება მსჯელობის სწავლისა ცნებების მოცულობით გამოიხატება, ხოლო შინაარსი ცნებისა ის ნაწილია, რომელიც იმ თავითვე ცხადი არაა და შემეცნების განვითარებაში უნდა გამოაშკარავდეს.

ცნების შინაარსსა და მოცულების შუა უშუალო კავშირია. ამიტომაც, წინასწარი გარკვეულობა ერთისა — მეორის სრული მისაწდომობის თავდება.

**§ 42. ცნება და მსჯელობა.** ამრიგად, ერთსა და იმავე დროს ცნება გამოსავალი წერტილიც არის მსჯელობისათვის და მისი მიზანიც. რა ფორმებში ისახება ეს თვით მსჯელობის შენებაში? თუმცა ყოველსავე მსჯელობას ერთი ცნება უდევს საფუძვლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით მსჯელობა მხოლოდ ერთი ცნებით გამოითქმებოდეს. ერთი ცნება თავდება იმისა, რომ მსჯელობა, რა ფორმაც უნდა მიიღოს მან, ერთსა და იმავე საგანს შეეხება. ხოლო თვით მსჯელობის დანიშნულებაა ძირითად ცნების სხვა და სხვა მხარეების გამოაშკარავება. სხვა და სხვა მხარეები ძირითად ცნებისა მისივე სახეობანია და, მაშასადამე, ცნებები.

ამრიგად, მსჯელობას თუმცა საფუძვლად უდევს ერთი ცნება, მაგრამ საბოლოოდ იგი იშლება სხვა, მისთვის დაქვემდებარებულ ცნებებში, მაგალ. „ყვავილი არის წითელი“. საგანი მსჯელობისა ერთია — ყვავილი. ჩვენ წინდაწინ ვიცით, რომ მას ყოველივე ის ახასიათებს, რაც ყვავილის მთელს მოცულობას ხოლო რაც შეეხება მის შინაარსს, ამას ჩვენ ვეცნობით მსჯელობაში — „ყვავილი არის წითელი“. უეჭველია ჩვენ აქ სრულიად გარკვეულ ყვავილზე ვლაპარაკობთ, რომელსაც ვხედავთ კიდევ ცნება „ყვავილში“ ჩვენ გავარჩიეთ ერთ-ერთი მისი მხარე „სიწითლე“, რომელიც ქმნის ერთ-ერთ სახეობის ყვავილს.

**§ 43. ფორმა მსჯელობისა.** მსჯელობა ჩვენ განვმარტეთ, როგორც აზროვნების გამოსახედა ერთი საშვალეობათაგან. ახლა საქირთა მსჯელობის უფრო მკაფიო განმარტება. ჩვენს აზრო-

ვნებას აქვს ორგვარი საშვალეობა ცნების გარკვევისა: პირდაპირი, და არაპირდაპირი. პირდაპირი საშვალეობა დახასიათდება მით, რომ ჩვენ არ გვჭირდება დამატებითი ცნება საგნის გასაგებად: ვიღებთ ძირითად ცნებას და პირდაპირ ვარჩევთ მის ამათუ იმ სახეობას. ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობა მხოლოდ ორ ცნებას საჭიროებს: ძირითადს ანუ გასარჩევს და გამოკვეთილს ანუ გარკვეულს. მაგ. მსჯელობაში—„ადამიანი მომაკვდავი არსებაა“—ძირითადი ცნება არის მომაკვდავი, ხოლო ჩვენი მსჯელობის ქვემდებარე—ადამიანი. ჩვენ აქ ორი ცნება გვაქვს—ადამიანი და მომაკვდავი არსება, მსჯელობისათვის მეტი არ გვჭირია, რადგან ადამიანის ბუნებას და მომაკვდაობას პირდაპირ ვაკავშირებთ.

არის მეორე შემთხვევა. მაგალითად, „ადამიანი მომაკვდავია; ივანე ადამიანია; მაშასადამე, სოკრატე მომაკვდავია“, ცხადია, რომ აზრის გაქანება აქ სულ სხვა გვარია. ჩვენ პირდაპირ არ ვარჩევთ მსჯელობის ცნებას (სოკრატეს), არამედ მოვიხმართ ცნება „ადამიანს“, როგორც მესამეს და ასე შემოვლილი გზით მივდივართ მიზნისაკენ. ეს შემოვლა და არაპირდაპირი გზა, როგორც დავინახავთ, იწოდება სილოგის მხად.

ჩვეულებრივად მსჯელობას გამოხატავენ ლათინური ასოებით S არის P, ანუ S არაა P. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველივე მსჯელობა ორი ცნების ან შეერთება ან გათიშვაა ე. ი. ან დადებითი ან უარყოფითი გამოთქმა. S ნიშნავს ქვემდებარეს P—შემასმენელს. გარდა ამისა, საჭიროა მათი შემაერთებელი ან განმთიშველი ნიშანი: არის ან არ არის: ჩვეულებრივად იგი კავშირად იწოდება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მას მხოლოდ შეკავშირება არ ევალება. ზოგიერთ ენაზე იგი სულ არ გამოითქმება. მაგალ. რუსულზე: сахаръ сладокъ; ქართულად ხშირად შემოკლებულის სახით პრედიკატის დაბოლოვებას ერთვის: შაქარი ტკბილია

**§ 41. მარტივი და რთული მსჯელობანი.** ჩვეულებრივად არჩევენ მსჯელობის ორ ფორმას: მარტივს და რთულს. ეს შესაძლოა იმის მიხედვით, თუ როგორია გარეგნული ფორმა

მსჯელობისა. მართლაც, შეიძლება, რომ რამოდენიმე სუბიექტი და რამოდენიმე პრედიკატი გვექონდეს, მაგალ: „ძროხა, ხარი, ცხენი, ძაღლი—შინაური ცხოველებია“. აქ რამოდენიმე სუბიექტია და ერთი პრედიკატი; იგივე შეიძლება იყოს პირუკულმა: ხარი სამუშაოდაც ვარგა და საქმელადაც. აქ ორი პრედიკატია ერთ სუბიექტთან.

ლოლიკურად აქ მხოლოდ ორი მომენტია ყველა მსჯელობაში, მიუხედავად მისი ფორმისა. ეს აშკარაა იქიდან, რომ ყოველი რთული მსჯელობის მარტივ მსჯელობად გარდაქმნა შეიძლება. მაგალ. პირველი რთული მსჯელობა ასედაც გამოითქმება: ძროხა შინაური ცხოველია და სხვა. რადგან ამ მხრივ რთული მსჯელობანი არავითარ განსაკუთრებულ ლოლიკურ გზას არ გამოხატავენ, ლოლიკას არ ესაჭიროება მათი საგანგებო შესწავლა: იგინი იმავე კანონებს ემორჩილებიან, როგორც მარტივი ე. ი. მხოლოდ ერთი S და P-დან შემდგარი მსჯელობა.

**§ 45. მსჯელობის მიმართება.** მსჯელობის შემადგენელ ნაწილთა შორის გარკვეული მიმართებაა. S და P მიმართება შეიძლება სამ გვარად წარმოვიდგინოთ; ავიღოთ პირველი შემთხვევა: ჩვენ შეგვიძლია S და P შორის დადებითი ან უარყოფითი მიმართება ყოველგვარ პირობის გარეშე წარმოვიდგინოთ, მაშინ იგი სრულიად დამოუკიდებელია. ასეთია მაგ. მსჯელობა: „ადამიანი მომაკვდავი არსებაა“. ანუ, ყოველ სამკუთხედის კუთხეთა ჯამი  $= 2d$ . მსჯელობა, რომელიც მნიშვნელოვანია ყოველ პირობის გარეშე იწოდება კატეგორიულ მსჯელობად.

S და P-ს მიმართება შეიძლება დამოუკიდებელიც იყოს. მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელთაგანაც დამოუკიდებელია მსჯელობის მოხდენა. მაგ. „თუ სამშობლოს სიყვარული კეთილშობილებაა, ყოველი პატრიოტი კეთილშობილია“. აქ ჩვენ ორი მსჯელობა გვაქვს: 1) „სამშობლოს სიყვარული კეთილშობილებაა, 2) ყოველი პატრიოტი კეთილშობილია“, ანუ კიდევ: თუ დედამიწა ოდესმე ცეცხლის სი-

თხეს წარმოადგენდა—მასზე არ იქნებოდა ორგანიული ცხოვრება. პირველი მსჯელობის ჭეშმარიტება პირობაა მეორე მსჯელობის ჭეშმარიტებისა; მეორე მსჯელობა პირველის დასკვნაა. ასეთი მიმართების მქონე მსჯელობა იწოდება პირობითი მსჯელობად.

მესამე შემთხვევაში შეიძლება ჯერ არც კი ვიცოდეთ მიეკუთვნება თუ არა გარკვეული P S-ს მაგალ., „ყოველი ადამიანი ან ჯანსაღია, ან ჯანსუსტი“. მსჯელობის ბუნება ამ შემთხვევაში იმაში იხატება, რომ თავიდან კიდევ გაურკვეველია რომელი P მიეკუთვნება S-ს. საფუძველი მსჯელობის ისაა, რომ ერთ-ერთი მაინც ეკუთვნის მას. ეს მიმართება იწოდება გაყოფითად.

**§ 47. მსჯელობათა თვისობრიობა.** S და P შორის შეიძლება იყოს ან დადებითი ან უარყოფითი მიმართება. ამის მიხედვით მსჯელობანი გაიყოფებიან დადებით და უარყოფით მსჯელობათ.

S+P . . . დადებითი მსჯელობის სქემა (+ არის)

S—P . . . უარყოფითი მსჯელობის სქემა (— არ არის)

ორივე თვისების მაგალითები შედარებისათვის შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. დადებითი . . . . ადამიანი (S) არის (+) მომაკვდავი (P)

2. უარყოფითი . . . ადამიანი (S) არაა (—) მომაკვდავი (P)

თუმცა ლოღიკურად როგორც დადებითი ისე უარყოფითი ერთი და იმავე ღირებულებისაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დადებით მსჯელობას მეტი მნიშვნელობა აქვს შემეცნებისათვის (შეადარეთ უარყოფით განმარტებას).

**§ 49. მსჯელობათა რიცხვობრივობა.** ლოღიკა არჩევს რიცხვობრიობის თვალსაზრისით სამგვარ მსჯელობას: ზოგადს, კერძობითს და მხოლოდობითს. ასეთი გაყოფის საფუძვლად ლოღიკას მიაჩნია ის გარემოება—შეეხება P მთელ მოცულობას S-ისა თუ არა. იმ შემთხვევაში, როდესაც P შეეხება S-ის მთელ მოცულობას, ჩვენ გვაქვს ზოგადი მსჯელობა, მაგალითად:

ყოველი ადამიანი (S) არის (+) მომაკვდავი (P).

ასეთი ხასიათის არაა მსჯელობა: ზოგი ადამიანი (S) + მალალი ნიკის მქონეა (P). უკანასკნელ შემთხვევაში P არ შეეხება მთელ S, რადგან დიდი ნაწილი ადამიანებისა მხოლოდ ჩვეულებრივი ნიკის პატრონია. არის ისეთი მსჯელობაც, რომელიც მხოლოდ ერთ საგანს ანუ მოვლენას შეეხება:

(S) ივანე არის (+) კეთილშობილი ადამიანი (P)

ამრიგად, ერთსა და იმავე დროს თვისობრივადაც და რიცხვობრივადაც რომ გავარჩიოთ მსჯელობები, მივიღებთ ექვს სახეობას:

ზოგად—დადებითი	S + P
ზოგად—უარყოფითი	S — P
კერძოობით—დადებითი	ზ. S + P
კერძოობით—უარყოფითი	ზ. S — P
მხოლოდობით—დადებითი	S + P
მხოლოდობით—უარყოფითი	S — P

§ 51. **მსჯელობათა მოდალობა.** მივიღოთ, რომ გვაქვს კატეგორიული მსჯელობა S + P. თვით ამ მსჯელობაში მიმართება S და P შორის სამგვარად წარმოიდგინება: 1) ჩვენ ვმსჯელობთ S და P კავშირის შესაძლოებაზე. მაგალ., „შესაძლოა ხვალინდელ ალიონს ფრინველები ჟრიამულით შეეგებონ“. ასეთ მსჯელობას ეწოდება **შესაძლებელი ანუ პრაქტიკური მსჯელობა**; 2) იმავე მსჯელობას ჩვენ გამოვსთქვამთ მისი აუცილებლობის შეგნებით, მაგალ.—„ხვალინდელ ალიონს ფრინველები აუცილებლივ ჟრიამულით შეეგებებიან“. ასეთი მსჯელობა იწოდება **აუცილებელი ანუ აპოდისტიკური მსჯელობა**; 2) არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მსჯელობას გამოვსთქვამთ ყოველივე დამატების გარეშე, ე. ი. არც მის შესაძლოებაზე, არც მის აუცილებლობაზე არ ვფიქრობთ, მაგ.—„ალიონს ფრინველები ჟრიამულით ეგებებიან“. ასეთი მსჯელობა იწოდება **ნამდვილ ანუ ასსერტორიულ მსჯელობად**.

სამივე ფორმა არაფერს არ სცვლის თუ მსჯელობის შინაარსში, არამედ გვიჩვენებენ მხოლოდ იმას, თუ როგორ უყურებთ მსჯელობებს ჩვენ თვითონ ე. ი. მიგვაჩნია იგი მართო შესაძლოდ თუ აუცილებლადაც და სხვ.

**§ 52 ანალიტიური და სინთეტიური მსჯელობანი.** ჩვენ უკვე ვიცით, რომ მსჯელობას საფუძვლად უდევს მთავარი ცნება, რომელიც ერთსა და იმავე დროს გამოსავალი წერტილიცაა შემეცნებისათვის (მსჯელობისათვის) და მიზანიც. თუ ეს ასეა—და ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ეს ასეა,—მაშინ შეუძლებელია, რომ ცნებისა და მსჯელობის ასეთმა მიმართებამ უკანასკნელში თავი არ იჩინოს და რაიმე გამოსახება არ ჰპოვოს. მოკლედ, საჭიროა, რომ ყოველივე მსჯელობას ორი მხარე ჰქონდეს: ერთი უნდა ნათელყოფდეს იმ გარემოებას, რომ ჩვენ იმ თავით ვემყარებით ერთგვარ გარკვეულობას, რომელიც ცნებაშია ჩაქსოვილი, მეორეს მხრივ კი იმავე ცნების ერთი მხარე ჩვენთვის ჯერ სრულიად შეუცნობელია და მსჯელობის საშვალეებით უნდა გამოირკვეს ჩვენთვის.

იმ მსჯელობას, რომელიც ცნებიდან პირდაპირ გამოგვყავს ფილოსოფოსმა კანტმა უწოდა ანალიტიური მსჯელობა, ხოლო იმას, რომელიც ახალ დაკვირვებას ემყარება—სინთეტიური. მისი აზრით მეორე მსჯელობა აფართოებს ჩვენს ცოდნას, პირველი კი უფრო ნათლად გამოსთქვამს იმ აზრს, რომელიც უკვე მოგვეპოვება. მაგალ., „ყოველი საგანი—ვრცელია“ ისეთი მსჯელობაა, სადაც P (ვრცელია) უკვე იგულისხმება S-ში (ყოველ საგანი), და მსჯელობა მხოლოდ უფრო გარკვეულ სახეს აძლევს მას. ამრიგათ, მსჯელობას, რომელიც ნათელყოფს უკვე არსებულ ცოდნას, კანტი უწოდებს ანალიტიურ მსჯელობას.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც თიაქოს ფართოვდება ჩვენი ცოდნა. მაგალ. — „ყოველ საგანს (S) აქვს ერთგვარი სიმძიმე (P)“. ეს უკანასკნელი თავისთავად S-ში არ იპოვნება—ამბობს კანტი და საჭიროა დამატებითი ცდა, რომ ჩვენ

დავრწმუნდეთ საგნის სიმძიმეში. მსჯელობა, რომელიც აფართოებს ჩვენს ცოდნას, იწოდება სინთეტიურ მსჯელობათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვები ანალიტიური და სინთეტიური ჩვეულებრივად უფრო სხვა მნიშვნელობით იხმარება. მაშინ საკითხი, თავისთავად ცხადია, მსჯელობათა წყობას კი არ შეეხება, არამედ იმ გზას, რომლითაც ჩვენ მივდივართ კვლევა-ძიების დროს, ე. ი. მეთოდს (ამაზე მეორე ნაწილში). თუ რაიმე მოვლენა გვსურს შევისწავლოთ მისი ნაწილებად დაშლის გზით, მაშინ ჩვენ ანალიტიურ მეთოდით ვსარგებლობთ; თუ, პირიქით, ნაწილებისგან მთლიანობა გამოგვეყავს—სინთეტიური მეთოდით.

**§ 56. მსჯელობათა საერთო მიმართება.** მსჯელობების შესწავლამ უნდა გამოარკვიოს მათ შორის ისეთი მიმართებაც, რომელსაც მნიშვნელობა აქვს დასაბუთებისათვის. დასაბუთებათ იწოდება აზრის ისეთი მიმართულება, სადაც სხვა მსჯელობათა მეოხებით ხერხდება აღებულ მსჯელობის განმტკიცება ან უარყოფა

ამიტომაც, თუ ერთი მსჯელობის მიღება გულისხმობს ან ეწინააღმდეგება მეორე მსჯელობის მიღებას—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბუთებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ რომ ავიღოთ ორი მსჯელობა, რომელთა შორის უეჭველი განსხვავებაა, მაგალით. „ადამიანი მომაკვდავია; ადამიანი არაა მომაკვდავი“, ცხადია, რომ ამ მსჯელობათაგან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. ისეთი მსჯელობები, რომელთა შეუსაბამობა ცხადი და ხელსახებია, იწოდებიან მოპირდაპირე მსჯელობებათ.

**§ 57. მოპირდაპირე მსჯელობები.** მოპირდაპირე მსჯელობები თავის მხრივ ორ ჯგუფად გაიყოფებიან:

1) ერთ შემთხვევაში განმასხვავებელი თვისება დაფუძნებულია მსჯელობათა თვისობრიობაზე, ე. ი. თუ ერთი დადებითია—მეორე უარყოფითი; ცხადია, რომ შიმადგენლობა მსჯელობისა იგივე რჩება: იცვლება მხოლოდ შემაერთებელი ნაწილი + ე. ი. არის,—არ არის.

S+P და S-P

2) შეიძლება თვისობრივ განსხვავებას რიცხვობრივად აერთოს:

S+P. ზ. S-P

ადამიანი მომაკვდავია, ზოგი ადამიანი არაა მომაკვდავი. პირველ შემთხვევაში გვაქვს ნამდვილად მოპირდაპირე მსჯელობა მეორე შემთხვევაში—მოწინააღმდეგე. მათი მიმართე ბის ნათელსაყოფად საჭიროა ერთად წარმოვიდგინოთ მთელი სქემა მსჯელობათა მიმართება-დაქვემდებარებისა. ავიღოთ ასეთი სქემა:

ზოგად-დადებითი A. მოპირდაპირე E ზოგ.-უარყოფ.

S+P

S-P

ქვემდებარე  
მოწინააღმდეგე  
ქვემდებარე

კერძ.-დადებითი

კერძ.-უარყოფ.

ზ S+P

I

ქვემდ. მოპირდ.

O

ზ. S-P

§ 58. სქემის ახსნა. აქ აღებულია ოთხი სახეობის მსჯელობა:

S+P      S-P  
ზS+P    ზS-P

გამოტოვებულია მხოლოდობითი მსჯელობა, რადგან იგი იმავე კანონებს ემორჩილება, როგორც მაგ., ზოგადი, ოთხკუთხედის კუთხეებში მოქცეული ასოები AIOE გამოხატავს სიმბოლიურად სწორედ ოთხსავე მსჯელობას:

A=S+P;      E=S-P  
i=ზS+P;    o=ზS-P

ეს ასოები წარმოიშობიან ლათინური სიტყვებიდან **afirmo** —განვამტკიცებ; **nego**—უარყყოფ. აღებულია პირველი ორი ზმოვანი Ai (დიდი ანბანი ნიშნავს ზოგადს, პატარა კერძობითს) და Eo.



როგორც ვხედავთ, მოპირდაპირე მსჯელობები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან მხოლოდ თვისობრივად: ყველა ყვა-ვილი სუნნელოვანია. არც ერთი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

$$S + P \dots S - P$$

მოწინააღმდეგე მსჯელობები კი განსხვავდებიან ერთი მეორისაგან როგორც თვისობრივად აგრედვე რიცხვობრივადაც

$$S + P \dots \text{ზ.} S - P$$

მაგ. ყველა ყვაილი სუნნელოვანია—ზოგი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

**§ 59. მოპირდაპირე მსჯელობათა წესები.** მოპირდაპირე და მოწინააღმდეგე მსჯელობები შემდეგ წესებს ემორჩილებიან:

1) ორი მოპირდაპირე მსჯელობა, ისე როგორც მოწინააღმდეგე, შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ჭეშმარიტებას შეიცავდენ, მაგალ:

ყოველი ყვაილი—სუნნელოვანია, არც ერთი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

ყველა ყვაილი სუნნელოვანია; ზოგი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

2) ორი მოპირდაპირე მსჯელობა ერთსა და იმავე დროს შეიძლება შემცდარი იყოს.

მაგალ., როგორც ყოველი ყვაილი სუნნელოვანია, ისე არც ერთი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

სახელდობრ: შეიძლება ზოგი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

3) ორი მოწინააღმდეგე მსჯელობათაგან ერთი უეჭველად სწორია, ე. ი. ორივე მსჯელობა არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს შემცდარი იყოს.

მაგალ., თუ შემცდარია—ყველა ყვაილი სუნნელოვანია, აუცილებლად ჭეშმარიტია: ზოგი ყვაილი არაა სუნნელოვანი.

ამით ამოიწურება მსჯელობათა დახასიათება. ცხადია, რომ მსჯელობები მხოლოდ ნაწილობრივ გამოსახავენ ადამიანის შემეცნებას, რომელსაც ყოველთვის სისტემის ხასიათი აქვს, ე. ი. რამოდენიმე მსჯელობათა შეერთებისაგან შესდგება. მთავარი აზრი ამ შეერთებისა ერთიმეორეზე დამყარებასა და ამრიგად ცოდნის დასაბუთებაშია. დასაბუთების შესავალს წარმოადგენს სილლოგიზმი.

## ს ი ლ ლ ო ბ ი ზ შ ი .

**§ 60. მისი ბუნება.** ადამიანის შემეცნება მთლიან რასმე წარმოადგენს და ეს მთლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მისი ნაწილი მეორესთან არის დაკავშირებული. ჩვენ ვიცით, რომ ერთი მსჯელობის მისაღებად ხშირად საკმაჩისია პირდაპირ გარჩევა ცნების ერთ-ერთი მხარისა და მისი S-ისათვის მიკუთვნება. მაგალ. მსჯელობაში „ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია“ ლითონის ცნების გარჩევა პირდაპირის გზით ხდება. სულ სხვაა: ყველა ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია; რკინა ლითონია; მაშასადამე, რკინა ელექტრობის კარგი გამტარებელია. ამრიგად, მთელი გასაქანი შემეცნებისა ყოველთვის მოკლე გზით არ მიდის, და ერთი მსჯელობა მეორეს საჭიროებს, რომლიდანაც იგი გამოიყვანება, ანუ რომელსაც იგი ემყარება. მსჯელობა, რომელიც უნდა გამოვიყვანოთ, დასამტკიცებელი დებულებაა; მსჯელობა, რომლიდანაც გამოგვყავს მეორე — საბუთია ანუ საფუძველი.

მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ისეთი შეერთება მსჯელობებისა, რომელმაც ახალი მსჯელობა უნდა მოგვცეს. ასეთ შეერთებას ანუ შეგულისხმებას ეწოდება სილლოგიზმი.

**§ 61. მსჯელობათა საფუძველი და სილლოგიზმი.** ჩვენ ვსთქვით, რომ ძირითადი ცნების გაშლა-შესწავლის პირველი საშუალება არის მსჯელობა. ლითონი ელექტრობის გამტარებელია; ადამიანი მომაკვდავია — ასეთია მსჯელობის არე; ე. ი. ელექტრობის გამტარებელთა შორის ჩვენ პირდაპირის გზით ვემყარებით რა ძირითად ცნებას, (ელექტრობის გამტარებელთა, მომაკვდავთა) გამოგვყავს მსჯელობა.

მაგრამ ადამიანის შემეცნება ერთ წერტილზე არ ჩერდება და ვერც გაჩერდება. მისთვის წინსვლაა საჭირო და აპიტომაც უნდა გარჩეულ იქმნან ის ცნებებიც, რომლებიც ჩვენ ძირითად ცნებიდან გამოგვყავს. ამით ჩვენ მეორე ნაბიჯსაც ვსდგამთ და სინამდვილეში უფრო ღრმად ჩავიხედავთ. მაგ. ლითონის

მოცულობაში ჩვენ ვარჩევთ სხვათა შორის რკინასაც. მაშინ მთელი აზრი ასეთი იქნება:

ყოველი ლითონი ელექტრობის გამტარებელია  
რკინა . . . . . ლითონია

მაშასადამე, რკინა ელექტრობის გამტარებელია

აქ უკვე მთლიანობა ისახება, რომლის საფუძველს შეადგენს ცნება „ელექტრობის გამტარებელი“ და თანდათანობით გაშლილ ცნებებს—ლითონი (უფრო დიდი მოცულობის ცნება) და რკინა (უფრო მცირე მოცულობის ცნება).

იგივე ითქმის ცნებებზე: მომაკვდავი—ადამიანი—ივანე. „მომაკვდავთაგან“ ჩვენ ჯერ გამოგვყავს „ადამიანი„ და შემდეგ „ადამიანისაგან“ — „ივანე“.

ამ რიგად მსჯელობისა და სილლოგიზმის საფუძველი ერთი და იგივეა ე. ი. ძირითადი ცნება. მსჯელობა უფრო მარტივი (და მასთან პირველი) საშვალეა ძირითადი ცნების გაშლისა, სილლოგიზმი კი უფრო რთული.

§ 62. **მთავარი პირობა სილლოგიზმისათვის.** როგორც დავინახეთ, სილლოგიზმის აუცილებლობის საკითხი იბადება იმდენად, თუ რამდენად ცნების სრულიად ახალი მხარეა გასარჩევი. თუ ასეთი სიახლე არ იქნა, მაშინ გასარკვევიც არაფერი იქნება, რადგან ყველაფერი უკვე გამორკვეული იქნებოდა. ამიტომაც, ყოველი მსჯელობა, რომელსაც მივიღებთ სილლოგიზმის გზით, უნდა შეიცავდეს ახალ ცოდნას. რასაც ეს ნიშანი არა აქვს, ის შეიძლება გარეგნულად ძალიან ჩამოგავდეს სილლოგიზმს, მაგრამ ნამდვილად კი სხვა რამე იქნება.

ყოველი ადამიანი მომაკვდავია  
ივანე ადამიანია

მაშასადამე, ივანე მომაკვდავია.

დანასკვი მსჯელობა: ივანე მომაკვდავია. შეიცავს ახალ აზრს. სახელდობრ: არც ერთ მსჯელობაში, რომელთა წყობიდან გამოგვყავს დანასკვი, არაა მსჯელობა: ივანე მომაკვდა-

ვია; ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ყოველი ადამიანი მომაკვ-  
დავია და რომ ივანეც ადამიანია.

მაშასადამე, თავისებურობა სილლოგიზმისა იმაშია, რომ, როგორც კი მოვახდენთ პირველი მსჯელობით მიღებულ ცნებების დამატებითი გარჩევას, მაშინვე ჩნდება ახალი მსჯელობა, რომელსაც დანასკვი ეწოდება. იგი ყოველთვის ახალ აზრს უნდა შეიცავდეს.

**§ 63. მოჩვენებითი სილლოგიზმები.** 1) ხშირად ერთი და იგივე აზრი სხვა და სხვა ფორმაში გამოითქმება. ადვილად შესაძლებელია ეს ახალი ფორმა პირველიდან დანასკვით მოგვეჩვენოს, განსაკუთრებით თუ ჩვეულებრივ გამოთქმებს დავემორჩილეთ.

მე გატაცებული ვარ მუსიკით.

მაშასადამე, ის რითაც მე გატაცებული ვარ არის მუსიკა.

ცხადია, რომ მაშასადამე, ე. ი. დანასკვის მიღება აქ სრულიად უადგილოა და საქმე გვაქვს ერთი და იმავე აზრის განმეორებასთან სხვა და სხვა ფორმაში.

2) ასეთსავე მოჩვენებით დანასკვს წარმოადგენს მსჯელობა:

ყოველი ყვავილი ლამაზია,

მაშასადამე, ზოგიერთი ყვავილი ლამაზია.

აქ მეტი არაფერია, გარდა ზოგადის კერძობითის სახით განმეორებისა.

3) შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩამოთვლილია ყოველი სახეობა ზოგად დებულებაში ნაგულისხმები, და შემდეგ აქედან გამოყვანილ იქნას ისეთი დანასკვი, რომელიც ყველა აღნიშნულ შემთხვევებს შეეხება:

ცხენი, ხარი, ძროხა და სხვ. (ჩამოთვლით) შინაური ცხოველებია ცხენი, ხარი, ძროხა—სასარგებლო ცხოველებია

ყველა შინაური ცხოველი სასარგებლო ცხოველებია

ის, რაც თითქოს დანასკვს წარმოადგენს, უკვე გვაქვს ზემო მსჯელობებში, მხოლოდ სხვა ფორმით გამოთქმული (ჩამოთვლის ანუ სრული აღნუსხვის გზით).

§ 64. **ენტიმემა.** არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ფატიურად ჩვენ გვაქვს ნამდვილი სილლოგიზმი, მაგრამ ფორმით თითქოს სხვა რამეა. მართლაც ნაცვლად ორი მსჯელობისა რომელთაგან მესამე გამოგვყავს შესაძლოა ერთი მსჯელოდ გამოითქმოდეს, ხოლო მეორე კი იგულისხმებოდეს. ყოველი სილლოგიზმს შეგვიძლია მივსცეთ ასეთი ფორმა. განსაკუთრებით ადვილია ეს მაშინ, როდესაც ყველასათვის ცხადსა და მისაღებ მსჯელობასთან გვაქვს საქმე.

ივანე ადამიანი  $S+M$

მაშას. ივ. მომაკვდავია  $S+P$

აქ გამოტოვებულია მსჯელობა: ყოველი ადამიანი მომაკვდავია. ეს ხდება იმის გამო, რომ იგი იგულისხმება ყველასაგან, და დასკვნა ყველასათვის კანონიერ სახეს იღებს;

ასეთ დასკვნას ეწოდება ენთიმემა. ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს იქას, რაც გულშია ანუ იგულისხმება. ცხადია, რომ არსებითად აქ ჩვენ გვაქვს ორი მსჯელობა, რომალთაგან მესამე გამოგვყავს და სრულიად შემთხვევითია მისაშემოკლებით გამოთქმული ფორმა.

§ 65. **უშუალო დასკვნები.** არის შემთხვევები, როდესაც თითქოს ერთი მსჯელობიდან პირდაპირ გამოგვყავს დასკვნა. იგინი იწოდებიან უშუალო დასკვნებად, და ორ მთავარ სახეობად გაიყოფებიან, რომლებიც თავის ბუნების მიხედვით განსაკუთრებულ წესებს ემორჩილებიან. ერთი ასეთი დასკვნის სქემაა:

$S+P$ ; მაშასადამე  $P+S$

ყოველი ადამიანი მომაკვდავია

მაშ. ზოგ. მომაკვდავი ადამიანია.

ცხადია, რომ მეორე მსჯელობაში ჩვენ გამოვსტყვამთ სხვა ფორმით იმას, რაც უკვე იგულისხმება პირველში; საჩუღობრ: პირველ მსჯელობაში ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული  $S$  (ყოველი ადამიანი), მაგრამ ჭავსებით გაურკვეველი  $P$  (მომაკვდავთა ცნება). ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ადამიანის თვისებაა მომაკვდაობა, მაგრამ პირველი მსჯელობა ვერ აკვევს თვით მომაკვდაობის მოცულობას. ჩვენს მსჯელობაში

როდესაც ისმება კითხვა P-ის გამორკვევის შესახებ, იგი ბუნებრივად თვით უნდა გარდიქცეს მსჯელობის საგნად ანუ სუბიექტად, ხოლო ყოფილი სუბიექტი მისი P-ად. რას ვამბობთ ჩვენ ამით? მხოლოდ იმას, რომ P აღებულია სწორედ S-ის მოცულობით, ე. ი. ჩვენს მსჯელობაში მომაკვდავობა იღება არა საზოგადოდ, არამედ რამდენად იგი ადამიანებს შეეხება, ასეთია ზოგ.  $P+S$ . უშუალო დასკვნის ეს სახეობა იწოდება უკუქცევად.

**§ 66. უკუქცევის წესები.** 1) კერძობით — უარყოფითი მსჯელობის უკუქცევა შეუძლებელია.

ზ.  $S-P$

აქიდან არაფრის გამოყვანა არ შეიძლება და ერთნაირის უფლებით შეგვიძლია მივიღოთ ორი მსჯელობა: ზ  $P-S$ ; ზ  $P+S$ .

ან „ზოგიერთი ყვაილი არასუნნელოვანია“.

აქიდან ერთიანაირად შესაძლებელია:

ზოგიერთი სუნნელოვანი... არაა ყვაილი

ზოგიერთი სუნნელოვანი... არის ყვაილი. ე. ი. არც

ერთი დანასკვის გამოყვანა არ ხერხდება.

2) უკუქცევის დროს მართებული ზოგადი დანასკვის მიღება შეიძლება მხოლოდ ზოგად-უარყოფითი მსჯელობიდან.

არცერთი  $S-P$

მაშას. არცერთი  $P-S$ .

ან კიდევ: არც ერთი მგელი არაა თვინიერი

არც ერთი თვინიერი არაა მგელი.

აქიდან თავისთავად ცხადია ისიც, რომ ზოგად დადებითი დებულებების მხოლოდ კერძობით-დადებით დებულებათ უკუქცევა შეიძლება. ამის მაგალითი ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ განვიხილეთ. წესის დარღვევა აღნიშნულ შემთხვევებში იწოდება შეცდომითი უკუქცევად.

**§ 67. გარდაქცევა.** მეორე უშუალო დასკვნა იწოდება გარდაქცევად, მისი მთავარი ნიშანი მდგომარეობს იმის

გამორკვევაში თუ როგორი მიმართებაა S და მისი P-ის მოწინააღმდეგე ცნების შორის. ადვილი გასაგებია, რომ თუ S+P მაშასადამე, არცერთი S—(—P) ე. ი. რადგან ვიცით, რომ დადებითი მიმართება არსებობს მხოლოდ S-სა და დადებით (+P) შუა, შეუძლებელია, რომ ეს მიმართება საწინააღმდეგოთ არ შეიცვალოს, როგორც კი საწინააღმდეგოთ შეიცვლება თვით P (გარდაქცევა—P.)

შევსცვალოთ დადებითი ცნება „მომაკვდავისა“ (+P)

უარყოფითი ცნებათ „უკვდავი“ (—P)

მაგ. (S) ყოველი ადამიანი (P) მომაკვდავია.

მაშ. არცერთი (S) ადამიანი არაა უკვდავი (—P)

**§ 68. გარდაქცევის წესი.** გარდაქცევის დროს საჭიროა

დაცულ იქნას ერთი წესი, რომელიც ადვილი გასაგებია, თუმცა ამის მიუხედავად მას ხშირად არღვევენ. ჩვენ დავინახეთ რომ, როგორც კი დადებითი ცნების მაგიერ უარყოფითს ვიღებთ, იცვლება თვით მსჯელობის თვისობრიობა, ე. ი. გადადის დადებითიდან უარყოფითზე. ასეთი გარდაქცევა კანონიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილ ცნებათა შორის ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც დადებითსა და უარყოფითს შორის (+—). აქედან ცხადია, რომ აღებულები ორი ცნება (+P და —P) მოწინააღმდეგე უნდა იყონ და არა მხოლოდ მოპირდაპირე.

ცნებათა და მსჯელობათა მიმართების გარჩევის დროს ჩვენ უკვე გავარკვიეთ მოპირდაპირისა და მოწინააღმდეგის შორის განსხვავება. იქ ნათქვამი ძალაში რჩება, ხოლო ახლა მდგომარეობა უფრო ნათელია: მაგ. ავიღოთ ცნებათა რიგი:

თეთრი—არათეთრი; თეთრი—შავი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველი რწყვილეთული მოწინააღმდეგე ცნებებია, ხოლო მეორე—მოპირდაპირე. თეთრსა და არათეთრს შუა არავითარი მესამე არაა ისე, როგორც + და — შუა, ხოლო თეთრი და შავი, თუმცა უპირდაპირდებიან ერთი მეორეს, მაგრამ მათ შორის არის კიდევ საფუძვლური, მაგ., ნაცრისფერი.

მაგ., არცერთი იაპონელი არაა თეთრი  
მაშ., ყველა იაპონელი... შავია.

ასეთი დასკვნა უეჭველად შემცდარია და მიზეზი არის  
მოპირდაპირე ცნებათა ხმარება იქ, სადაც უნდა იხმა-  
რებოდნენ მხოლოდ მოწინააღმდეგე ცნებები, მაგ.:

არც ერთი იაპონელი... არაა არაყვითელი  
მაშას., ყოველი იაპონელი... ყვითელია.

აქ ერთი ცნების უარყოფა მეორეს გულისხმობს, და მათ  
შუა არავითარი მესამის შესაძლოება არაა. ამ წესის დარ-  
ღვევა იწოდება შემცდარ გარდაქცევად.

**§ 69. უკუქცევის და გარდაქცევის შეერთება.** უშუალო  
დასკვნები, როგორც ვიცით, ფორმის შეცვლაა, ე. ი. ერთი  
მსჯელობის სხვა ფორმაში გამოთქმა. ეს მოსახერხებელია არა  
მარტო უკვე აღნიშნული ორი ფორმით, ე. ი. უკუქცევით  
და გარდაქცევით, არამედ მათი შეერთებითაც.

მაგ.  $S + P$

მაშ., არცერთი  $S - (-P)$

ან: ადამიანი მომაკვდავია.

მაშას., არც ერთი არამომაკვდავი... არაა ადამიანი.

როგორ მივიღეთ ასეთი დასკვნა? სულ უბრალო გზით:  
თავდაპირველად გვაქვს:

$S + P$

შემდეგ: არც ერთი  $S - (-P)$  (გარდაქცევა).

დასასრულ: არც ერთი  $(-P) - S$ . (უკუქცევა).

**§ 70. უკუქცევის და გარდაქცევის შეერთების წესები.**

რა წესებს უნდა დაემორჩილოს ეს შეერთება ნათელია, თუ  
მხედველობაში მივიღებთ, რომ ჯერ ხდება გარდაქცევა, ე. ი.  
თვისობრივად საწინააღმდეგოთ შეცვლა და მხოლოდ ამის შე-  
მდეგ უკუქცევა. შეერთების წესები საწინააღმდეგო ფორმაში გა-  
მოხატული უკუქცევის წესებია.  $S + P$  გარდავაქცევთ  $(-P) - S$ .  
და აქიდან ცხადია:

1) კერძობით-დადებითი მსჯელობიდან არა-  
ფერტი გამოიყვანება (უკუქცევაში კერძობით-უარყოფი-  
თიდან);



2) სწორი ზოგადი დასკვნა გამოიყვანება მხოლოდ ზოგად-დადებით მსჯელობიდან (უკუქცევაში ზოგად-უარყოფითიდან).

**§ 71. სილლოგიზმის წყობა.** ჩვენ ვიცით, რომ ცოდნის გაფართოებისათვის საჭიროა უკვე მიღებულ ცნებების კვლავ გარჩევა. ელექტრობის გამტარებელთა შორის ჩვენ შევარჩიეთ ლითონი. ეს მოგვცა მარტივმა მსჯელობამ: ყოველი ლითონი ელექტრობის გამტარებელია. ლითონთა შორის რკინის შერჩევა ახალ მსჯელობის საქმეა: ყოველი რკინა ლითონია. თუ რკინა ლითონს ახასიათებს, ხოლო ლითონი—ელექტრობის გამტარებელთ—ცხადია, რკინაც ელექტრობის გამტარებელთ ეკუთვნის, ანუ შის ცნებას ექვემდებარება.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში გვაქვს შუალობითი დასკვნა: პირველი საფეხურიდან მესამეზე პირდაპირ არ გადაისვლება და საჭიროა მესამე ანუ საშუალო საფეხურის გათვალისწინება. მსჯელობები, რომლებიც ასეთ საფეხურებს შეადგენენ იწოდებიან **წინამძღვრებად**, ხოლო ის მსჯელობა, რომელიც მათგან გამოიყვანება—**დანასკვად**.

ამ რიგად, ყოველი სილლოგიზმი შესდგება სამი მსჯელობისაგან. ორს წინამძღვარს უნდა ჰქონდეს ერთი საერთო ცნება. ცხადია, ეს ის ცნებაა, რომელსაც ჩვენ ორჯელ ვეხებით: ერთხელ პირველს მსჯელობაში და მეორეჯელ—მეორეში. მაგ. ადამიანი მომაკვდავია; სოკრატე ადამიანია;

სოკრატედან ჩვენ მივდივართ ადამიანისაკენ, ადამიანიდან—მომაკვდავისკენ ე. ი. ცნება „ადამიანი“ გვესაჭიროება ორჯელ, რომ სოკრატე მომაკვდავს დაუკავშიროთ.

თუ დანასკვი გამოიყვანება მარტო ორი წინამძღვარისაგან, ჩვენ გვაქვს მარტივი სილლოგიზმი, თუ მეტისაგან—რთული სილლოგიზმი.

**§ 72. მარტივი სილლოგიზმები.** იმის და მიხედვით, თუ როგორი ხასიათისაა არიონ ის მსჯელობები, რომლებიც წინამძღვრების როლს ასრულებენ, იცვლება ხასიათი თვით

სილოგიზმისა. ამ რიგად თუ ორივე წინამძღვარი კატეგორიულია — სილოგიზმიც კატეგორიულია:

$M + P$  ყოველი ადამიანი მომაკვდავია

$S + M$  სოკრატე . . . ადამიანია.

$S + P$  სოკრატე . . . მომაკვდავია.

თუ სილოგიზმის ერთ-ერთი წინამძღვარი გაყოფითია, სილოგიზმიც გაყოფითია:

$A + \text{ან } B \text{ ან } C$  ეს საქციელი ან ნებადართ. ან აღკრძ.

$A - B$  ეს საქციელი არაა აღკრძალული

$A + C$  მაშ. ეს საქციელი ნებადართულია.

თუ სილოგიზმის ერთ-ერთი წინამძღვარი პირობითია, სილოგიზმიც პირობითია:

თუ  $A + B$  მაშინ  $C + D$  თუ ადამ. ბოროტია იგი სასჯ. ღირსია

$C - D$  ეს ადამიანი არაა, სასჯელის ღირსი.

$A - B$  მაშ. იგი არაა ბოროტი,

**§ 73. კატეგორიულა სილოგიზმის ტერმინები და წინამძღვრები.** სილოგიზმი სამი ცნებისაგან შესდგება. ცხადია, ერთი მათგანი შუამავლის როლს თამაშობს. თითოეული ცნება სილოგიზმისა იწოდება ტერმინად, ხოლო საშუალო ტერმინად ის საერთო ცნება, რომელიც ორ სხვა ცნებას აერთებს. ორი სხვა ცნება (ცნება და არა მათი სახელწოდება) იწოდება დიდ და პატარა ტერმინად. დიდი ტერმინი ეს ის ძირითადი ცნებაა, რომლის ერთ-ერთი მხარის გარკვევისაკენ არის მიმართული მთელი სილოგიზმი. პატარა ტერმინი კი ის ცნებაა, რომელიც უნდა გამოყვანილ იქმნას, როგორც ერთ-ერთი დახასიათება ანუ ნაწილი დიდი ტერმინისა. ზემოდ მოყვანილ მაგალითში „ადამიანი“ შუამავალი ტერმინია; სოკრატე — პატარა ტერმინი, ხოლო დიდი ანუ ძირითადი — მომაკვდავი. სოკრატე მომაკვდავთა ერთერთი ნაწილია, ხოლო მისი მომაკვდავობის დასასაბუთებლად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ისიც ადამიანია; ამ უკანასკნელს ასრულებს საშუალო ტერმინი;

ორივე წინამძღვარი შეიცავს საშუალო ტერმინს, რომელსაც ასო M გამოხატავს (ლათინურ სიტყვიდან Medius=საშუალო); ხოლო იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი შეიცავს პატარას თუ დიდ ტერმინს—თვით წინამძღვრებიც იწოდებიან მცირე და მთავარ წინამძღვრებად.

ამრიგად:  $M + P =$  მთავარი წინამძღვარი

$S + M =$  მცირე წინამძღვარი

$S$  (მცირე ტერმ.)  $+ P$  (მთავარი ტერმინი).

**§ 74. კატეგორიული სილლოგიზმის ფიგურები და მოდუსები** საშუალო ტერმინს შეუძლია სხვა და სხვა ადგილი ეჭიროს წინამძღვრებში, იმის მიხედვით, თუ როგორია აზრთა წყობა. ლოდიკის მამამთავარმა არისტოტელემ გაითვალისწინა მხოლოდ სამი შესაძლებლობა საშუალო ტერმინის ადგილის სხვაობისა. იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს საშუალო ტერმინს (M), ლოდიკა არჩევს სხვა და სხვა ფიგურას სილლოგიზმისა. მას შემდეგ, რაც რომ ერთმა ლოდიკოსმა კლავდიოზ გალენმა (II საუკ. ქ. შ.) მეოთხე ფიგურაც მიუმატა არისტოტელეს სამ ფიგურას, საქმე შემდეგნაირად წარმოიდგინება:

I ფიგურა  $M . . P$   
 $S . . M$   


---

 $S . . P$

საშუალო ტერმინი მთავარ წინამძღვრის ქვემდებარეა, ხოლო მცირეს—შემასმენელი. მაგ.:  
 ყოველი ადამიანი მომაკვდავია  
 სოკრატე ადამიანია  
 სოკრატე მომაკვდავია.

II ფიგურა  $P : . M$   
 $S . . M$   


---

 $S . . P$

საშუალო ტერმინი ორსავე წინამძღვრებში შემასმენელია:  
 ადამიანი არაა უკვდავი,  
 ანგელოზები უკვდავებია  
 მაშ., ადამიანი არაა ანგელო.

III  $M . . P$   
 $M . . S$   


---

 $S . . P$

საშუალო ტერმინი ორივე წინამძღვარში ქვემდებარეა:  
 ზოგიერთი ადამიანი არაა კეთილშობილი

$$\begin{array}{r}
 \text{IV } P \dots M \\
 \underline{M \dots S} \\
 S \dots P
 \end{array}$$

ყოველი ადამიანი გონიერი არსებაა. მაშ., ზოგიერთი გონიერი არსება არაა კეთილშობილი.

მეოთხე ფიგურაში ტერმინებს უკუქცევითი ადგილი უჭირავთ პირველ ფიგურასთან შედარებით.

ყოველი ადამიანი გონიერია არც ერთი გონიერი არსება არაა თვითდაცვის ალღოს მოკლებული.

მაშ., არც ერთი თვითდაცვის ალღოს მოკლებული არსება არაა ადამიანი.

**§ 75. მოღუსები.** გარდა საშუალო ტერმინის ადგილისა, არის კიდევ სხვა რამე, რის მიხედვითაც შესაძლებელია სილლოგიზმების სხვაობა. ერთი და იგივე ფიგურა შეიძლება განსხვავდებოდეს თვისობრივად და რიცხვობრივადაც. მაგალ.:  
 გარდა  $M+P$  შეიძლება  $M-P$  ან კიდევ  $M-P$

$$\begin{array}{r}
 S+M \\
 \hline
 S+P
 \end{array}
 \qquad
 \begin{array}{r}
 S+M \\
 \hline
 S-M
 \end{array}
 \qquad
 \begin{array}{r}
 \text{ზ. } S+M \\
 \hline
 \text{ზ. } S-M
 \end{array}$$

მეორე განსხვავდება პირველისაგან თვისობრივად: დანასკვი არის  $S-M$  და არა  $S+P$ ; მესამე კი — როგორც თვისობრივად ისე რიცხვობრივადაც: დანასკვი ზ (ზოგი)  $S-M$ .

მაგალით., არც ერთი ყვავილი არაა ულამაზო

ია — . . . . ყვავილია

მაშ., ია . . . . არაა ულამაზო.

გარეგნულად რომ ვიანგარიშოთ ყოველ ფიგურაში 16 სხვა და სხვა გვარი სილლოგიზმი უნდა იყოს. მთავარი წინამძღვარი კი ოთხგვარად წარმოიდგინება:  $M+P$ ;  $M-P$ ; ზ.  $M+P$ . ზ.  $M-P$ . ასევე ოთხგვარია მცირე წინამძღვარიც:  $S+M$ ;  $S-P$ ; ზ.  $S+M$ ; ზ.  $S-M$ . ამრიგად  $4 \times 4 = 16$  სახეობის სილლოგიზმი უნდა მივიღოთ. ოთხივე ფიგურისათვის ეს მოგვცემს 64.

განსხვავებული სახეობა სილლოგიზმისა, ფიგურის თვისობრივ და რიცხვობრივ სხვაობაზე

დამყარებული, იწოდება სილოგიზმის მოდუსად. სისწორის მხრივ გარჩევის შემდეგ ლოლიკა გვერდზე სტოვებს მოდუსების უდიდეს ნაწილს და იღებს მხოლოდ ისეთებს, რომლებიც გარკვეულ წესებს ემორჩილებიან. მაშინ ყველა ფიგურების მოდუსების რიცხვი მხოლოდ 19-ია.

**§ 76. სილოგიზმის წესები.** ახლა განვიხილოთ ის წესები რომელთა მეოხებითაც 64 მოდუსიდან მხოლოდ 19 არის მისაღები.

1) დანასკვში უნდა იყოს ორივე ცნება, რაც წინამძღვარში, ე. ი. შეუძლებელია დანასკვის ან S და P სრულიადაც მოხსენებული არ იყოს არც ერთ წინამძღვარში. ეს წესი თავისთავად ცხადია. წინააღმდეგ შემთხვევაში დანასკვი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა;

2) შესახებ ცნებათა რიცხვისა—უკვე ვიცით, რომ შეუძლებელია მივიღოთ მთელ სილოგიზმში სამ ცნებაზე მეტი. ამის მაგალითიც ჩვენ უკვე განვიხილეთ;

3) საშუალო ტერმინი უნდა განწვალეულ იქნას ერთ-ერთ წინამძღვარში მაინც:

მაგ., ფრანგი ადამიანია  $P + M$

რუსი ადამიანია  $S + M$

? ?

შეიძლება დავასკვნათ: მაშ., რუსი ფრანგია? არა. მიზეზი ის არის, რომ საშუალო ტერმინი „ადამიანი“ (M) არც ერთხელ არაა აღებული მთელი თავისი მოცულობით ე. ი. არაა განწვალეული. „ფრანგი“ ერთი ნაწილია „ადამიანი“ ს; „რუსი“ მეორე ნაწილი, მაგრამ თვით ამ ნაწილებს გარდა „ადამიანი“ ბევრს სხვა ხალხსაც შეიცავს და, რაც მთავარია, ფრანგი და რუსი სხვა და სხვა ნაწილებს გამოხატავენ და მთელი „ადამიანი“ გაურკვეველი რჩება.

4) არც S და არც P დანასკვისა არ შეიძლება იყოს განწვალეული თუ წინამძღვრებში არ ყოფილან განწვალეული. ეს დებულებას ისევე ცხადია, როგორც 1 წესი. ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი დანასკვის

S ანუ P-ისა, რომელიც წინნამძღვრებში არ იყო ნაგულისხმევი, სრულიად დაუსაბუთებელი და, მაშასადამე, უკანონო იქნება:

5) ერთი წინნამძღვართაგანი უეჭველად დადებითი უნდა იყოს:

იტალიელი არაა ინგლისელი P—M

ინგლისელი არაა მუსიკოსი M—S

შესაძლებელია დასკვნათ რამე?—არა

6) თუ ერთი წინნამძღვართაგანი უარყოფითია—დანასკვი უეჭველად უარყოფითი უნდა იყოს:

ქართველი . . . არაა ფრანგი. S—M

ფრანგები . . . რომანთა ტომის არიან M + P

მაშ ქართველები არ არიან რომანთა ტომისა S—P

§ 77. **შეცდომები სილლოგიზმში.** ყოველი აღნიშნული წესის დარღვევა შეცდომა იქნება, მაგრამ ჩვეულებრივად განსაკუთრებით ხშირია: 1) საშუალო ტერმინის განუწვალელობა (მაგალ., ზევით) და 2) ტერმინების გაოთხმაგება. ასეთი გაოთხმაგება ხდება იმ გზით, რომ ხშირად ერთი იმ სამ ცნებათაგანი, რომლებიდანაც შესდგება ჩვეულებრივი სილლოგიზმი, იხმარება ორაზროვნად: მაგალ., ყოველი გატაცება—სულიერ სიმაღლის მაჩვენებელია ქალაქის თამაში—გატაცებაა. მაშ. ქალაქის თამაში სულიერ სიმაღლის მაჩვენებელია.

ცხადია, რომ ასეთის სილლოგიზმით შეუძლია სცადოს თავის გამართლება ყოველმა ქალაქის მოთამაშემ, მაგრამ სიყალბე მისი დასაბუთებისა ნათელი გახდება, როდესაც მიუთითებენ მას, რომ იგი ორაზროვნად ხმარობს სიტყვას „გატაცება“. (ეროვნელ მასში იგულისხმება მალალი საგნებით გატაცება, მეორეჯელ—ადვილი და მოკლე საშუალება სხვისი ქონების მითვისებისა).

§ 78. **რთული სილლოგიზმი.** რთული სილლოგიზმები განსხვავდებიან მარტივ სილლოგიზმებისაგან წინნამძღვართა რაოდენობით. მაშინ როდესაც მარტივ სილლოგიზმს აქვს ორი წინნამძღვარი, რთულ სილოგიზმს შეიძლება ჰქონდეს განუსა-

ზღვრელი რიცხვი. ასეთ რთულ სილლოგიზმს ეწოდება სორიტი.

ლოლიკაში ყველაზე მიღებულია ისეთი სორიტი, რომელიც იწყებს დანასკვის სუბიექტით და პრედიკატით ათავებს. სქემატიურად იგი შემდეგნაირად წარმოიდგინება:

A + B მეორე:

B + C

C + D

D + E

მაშ.,  $\frac{A + B}{A + E}$ .

მაგალითი:

ვინც სამშობლოსათვის თავდადებულია—იგი პატიოსანი მუშაკია.

ვინც პატიოსანი მუშაკია—მისი მოღვაწეობა ერისათვის სასარგებლოა.

ვისი მუშაობა ერისათვის სასარგებლოა—მას პატივსა სცემს თანამედროვე თაობა.

ვისაც პატივს სცემს თანამედროვე თაობა—მისი სახელი საისტორიოდ რჩება.

მაშასადამე, ვინც სამშობლოსათვის თავდადებულია—მისი სახელი საისტორიოდ რჩება.

ცოტაოდენი დაკვირვება საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ის, რასაც რთული სილლოგიზმი ეწოდება, შესდგება რამოდენიმე მარტივი სილლოგიზმისაგან. მაგ., ამ შემთხვევაში ადვილი გასაგებია, რომ საქმე გვაქვს სამ მარტივ სილლოგიზმთან:

$$\begin{array}{r} \text{I. } A + B \\ B + C \\ \hline A + C. \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{II. } A + C \\ C + D \\ \hline A + D. \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{III. } A + D \\ D + E \\ \hline A + E. \end{array}$$

მაგ. ვინც სამშობლოსათვის თავდადებულია—იგი პატიოსანი მუშაკია.

ვინც პატიოსანი მუშაკია მისი მოღვაწეობა ერისათვის სასარგებლოა.

მაშას. და სხვ....

**§ 79. გაყოფითი სილლოგიზმი.** ჩვენ უკვე ვიცით, რომ გაყოფითი სილლოგიზმის ერთ-ერთი წინამძღვარი გაყოფითი მსჯელობაა. მეორე კი შეიძლება იყოს ან პირობითი; ან გაყოფითი, ან კატეგორიული.

მივიღოთ, რომ მეორე წინამძღვარი კატეგორიული მსჯელობაა, სქემატიურად მთელი სილლოგიზმი ასე წარმოიდგინება:

$$I. A + \text{ან } B \text{ ან } C$$

$$II. A + \text{ან } B \text{ ან } C$$

$$A + B$$

$$A - B$$

$$\text{მაშას. } A - C.$$

$$\text{მაშას. } A + C.$$

ამრიგად გაყოფითი სილლოგიზმს ორი სახეობა აქვს. პირველი იწოდება დადებით-უარყოფითი მოდუსით, მეორე-დადებითად.

პოეტური ნაწარმოები ან ეპიქურია, ან ლირიკული, ან დრამატიული, ეს პოეტური ნაწარმოები დრამატიულია; მაშასადამე, იგი არაა არც ეპიქური და არც ლირიკული: აქ დადებითი მსჯელობით გამოვიწვიეთ უარყოფითი დანასკვი.

მეორე შემთხვევა ავიღოთ:

ეს პოეტური ნაწარმოები არაა არც ეპიქური, არც ლირიკული; მაშასადამე, იგი დრამატიულია.

ამრიგად წინამძღვარში მტკიცება იწვევს დანასკვში უარყოფას და პირიქით.

**§ 80. გაყოფითი სილლოგიზმის წესები:** გაყოფითი სილლოგიზმი ორ წესს ემორჩილება: 1) გაყოფის წევრები ერთი მეორის მოწინააღმდეგე უნდა იყონ. მაგალ. შემცდარია გაყოფითი სილლოგიზმი:

„ადამიანი ფასდება ან ჭკუით, ან სილამაზით“, რადგან შეიძლება ადამიანი დაფასდეს, როგორც ჭკუით, ისე სილამაზით.

2) გაყოფილი წევრები უნდა ამოსწურავდენ გასაყოფ ცნებას. შეუძლებელია ვსთქვათ: ეს პოეტური ნაწარმოები ან ეპიქურია, ან ლირიკული; ეს ნაწარმოები არაა ეპიქური.

მაშასადამე, ეს ნაწარმოები ლირიკულია.

მიზეზი ისაა, რომ გამოტოვებულია ერთი წევრი — დრამატიული.



§ 81. პირობითი სილლოგიზმი. პირობითი სილლოგიზმის ერთ-ერთი წინამძღვარი პირობითი მსჯელობაა. მეორე კი შეიძლება იყოს ან პირობითი ან კატეგორიული. როგორც გაყოფით, სილლოგიზმს, ისე პირობითს ორი მოდუსი აქვს: დადებითი და უარყოფითი.

პირველ შემთხვევაში გვაქვს:

თუ  $A + B, C + D$  ანუ თუ რკინა გავაცხლეთ, მისი სიდიდე იმატებს

$A + B$

რკინა გავაცხლეთ

მაშ.  $C + D$

მაშ, მისი სიდიდე იმატებს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვამტკიცებთ მიზეზს (ანუ საფუძველს) და ვიღებთ შედეგს (ანუ დასკვნას); ამიტომაც ეს სახეობა დიდებითია.

მეორე შემთხვევაში გვაქვს:

თუ  $A + B, C + D$  ანუ: თუ რკინა გავაცხელეთ, მისი მოცულობა იმატებს

$C - D$

რკინის მოცულობა არ იმატებს

მაშ.  $A - B$ .

მაშ. ჩვენ რკინა არ გაგვიცხილებია.

ამ შემთხვევაში ჩვენ უარყოფით შედეგს და მით უარყოფილია საფუძველიც

§ 82. პირობითი სილლოგიზმის წესები. პირობითი სილლოგიზმსაც ორი წესი აქვს: 1) არ შეიძლება დავასკვნათ საფუძვლის უარყოფიდან—შედეგის უარყოფისაკენ და 2) პირიქით—შედეგის მტკიცებადან საფუძვლის მტკიცებისკენ.

I მაგ. თუ ზღვაზე ქარიშხალია—  
 ლია გემი დაილუპება  
 ზღვაზე არაა ქარიშხალი

II თუ ზღვაზე ქარიშხალია—  
 გემი დაილუპება  
 გემი დაილუპა

მაშ. გემი არ დაილუპება.

მაშ. ზღვაზე ქარიშხალია.

ორივე შემთხვევა შემცდარია, რადგან გემი შეიძლება დაილუპოს ისე, რომ ქარიშხალი არც კი იყოს, მაგ. ან აფეთქებისაგან, ან ცეცხლისაგან და სხვ...

## ნაწილი მეორე

### დასაბუთება.

**§ 83. შემეცნების მთლიანობა.** აქამდე ჩვენ ვარჩევდით შემეცნების ნაწილებს ე. ი. ვახდენდით შემეცნების ანალიზს. ამ გარჩევამ დაგვარწმუნა, რომ ამავე ნაწილებს შორის მტკიცე კავშირია ანუ სინთეზი. მართლაც და, ჩვენ რომ განცალკევებულად ავიღოთ მომაკვდავი, ადამიანი, სოკრატე—არავითარი შემეცნება არ გვექმნება. შემეცნება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნაწილებს შორის ერთგვარ კავშირს ვამყარებთ.

მრავალგვარად შეიძლება ამ საში ცნების შეერთება. მაგ. „ადამიანი არის მომაკვდავი“, „სოკრატე არის ადამიანი“ და სხვ. ასეთ მარტივ შეერთების დროს გვაქვს მსჯელობები: თუ საჭირო იქნება დამატებითი გარკვევა, მაშინ დაურთავთ მეორე მსჯელობასაც და მესამე მაშინ თავის თავად გამოიყვანება და სხვ.

ერთი სიტყვით შემეცნება ყოველთვის მთლიანობაა ე. ი. ნაწილების შეერთება.

**§ 84. დასაბუთება.** გარდა აღნიშნული თვისებისა, შემეცნებას ახასიათებს კიდევ მეორე სახეობის მთლიანობა: იგი ემყარება იმაზე, რომ შემეცნების ერთი ნაწილი მეორისაგან გამოიყვანება, ანუ მეორეზეა დაფუძნებული. მაშინ ერთი ნაწილი შემეცნებისა საფუძველია, მეორე—მისი დანასკვი.

მაშასადამე, ერთი მხარე შემეცნების მთლიანობისა დაფუძნებულია იმ კავშირზე, რომელიც არსებობს აზროვნების ძირითად ელემენტების შორის—ცნება, მსჯელობა, სილლოგიზმი. ცნება საფუძველია, როგორც მსჯელობის, ისე სილლოგიზმის; მსჯელობა შეუძლებელია გარეშე ცნებისა; სილლოგიზმზე შეიცავს როგორც ცნებას, ისე მსჯელობას. ასეთია ერთის მხრივ აღნიშნული მთლიანობა.

მეორეს მხრივ, მთელი შემეცნება ისეა აშენებული, რომ მისი ერთი ნაწილი მეორეზეა დამყარებული, მეორე-მესამეზე

და ასე შანამდე, სანამ არ მივალოთ უკანასკნელ საზღვრამდე, რომელიც თვითონაა თავისი საფუძველი.

მაშასადამე, შემეცნების ნაწილების ერთი მეორისაგან ლოლიკურ დამოკიდებულებაზე აგებული კავშირი იწოდება დასაბუთებად. ლოლიკური კი არის ისეთი კავშირი, როდესაც ერთი დებულების მიღება მოითხოვს მეორე დებულების მიღებასაც. მაგ. „ადამიანის მომაკვდაობა“ და „სოკრატეს ადამიანობა“ ლოლიკურად მოითხოვს სოკრატეს მომაკვდაობასაც.

**§ 85. დასაბუთების ნაწილები.** დასაბუთება სამი ნაწილისაგან შესდგება:

1) ყოველს დასაბუთებაში ჩვენ რაიმე აზრს ანუ დებულებას ან ვამტკიცებთ, ან უარვყოფთ. მაგ. დასაბუთებაში: ყოველი ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია; რკინა ლითონია; მაშასადამე, რკინა ელექტრობის კარგი გამტარებელია. უკანასკნელი მსჯელობა შეადგენს დასაბუთების დებულებას. რატომ? იმიტომ, რომ მთელი აზრი მოწყობილია სწორედ ამის დასამტკიცებლად. მაშასადამე, ყოველ დასაბუთებაში ის აზრი, რომელიც დასაბუთებულ უნდა იქნას იწოდება დებულებად ანუ თეზისად.

2) დასაბუთებულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი აზრი, რომელიც საკმაო საფუძველს ემყარება. ამიტომაც, დასაბუთებულს მეორე ნაწილს შეადგენს ის, საიდანაც გამოგვყავს თეზისი ანუ დებულება. ზემოდ მოყვანილ მაგალითში ასეთია მსჯელობა: „ყოველი ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია.“

ცხადია, რომ იმის შესახებაც შეიძლება დაისვას კითხვა თუ რას ემყარება თვითონ დებულება „ყოველი ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია“ და მაშინ აღმოჩნდება თუ როგორია მისი საბოლოო საფუძველი. (ამას შემდეგ გამოვარკვევთ, როდესაც დასაბუთების უმაღლეს საფუძველებზე მიდგება საქმე.) ჯერხნობით ცხადია, რომ საფუძველია ის ნაწილი დასაბუთებისა, რომლიდანაც გამოგვყავს დასამტკიცებელი დებულება.

3) დებულებისა და საფუძვლის გარდა დასაბუთება შეიცავს მესამე ნაწილს. ეს ნაწილი ემსახურება დებულების საფუძველთან დაკავშირებას, რომელიც გამოხატავს დასაბუთების მთლიანობას. ეს ნაწილი მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ დებულებას მართლაც გააჩნია საკმაო საფუძველი თუ არა.

როდესაც ჩვენ გვაქვს, რომ „ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია“ და გვსურს დავამტკიცოთ, რომ „რკინაც ელექტრობის კარგი გამტარებელია“, ჩვენთვის საჭიროა გამოვწვათ იმის საშეაღება, რომ საფუძვლის თვისება დებულებაზედაც გავავრცელოთ ე. ი. ლითონის თვისება რკინასაც აღმოაჩნდეს. ის გზა, რომლითაც საფუძვლის თვისებას დასაბუთების დებულებაზე გავავრცელებთ იწოდება მტკიცებად.

დასაბუთების ნაწილების გარჩევამ მიგვიყვანა ორი საკითხამდე: 1) დასაბუთების უმაღლეს საფუძვლების შესახებ, და 2) როდესაც გამოირკვევა, რომ არსებობს ორი უმაღლესი საფუძველი, მტკიცების იმ ორი სახეობის შესახებ, რომელთაც ეწოდება დედუქცია და ინდუქცია.

**§ 85. დასაბუთების უმაღლესი საფუძვლები.** ზემოდ მოყვანილ მაგალითის გარჩევამ დაგვარწმუნა, რომ ადამიანის აზრი განმეორებით მოითხოვს ისეთი საფუძვლის გამონახვას, რომელიც თვით აღარ საჭიროებს ახალ საფუძველს. ვნახოთ მეორე კიდევ უფრო მარტივი მაგალითი: ადამიანი მომაკვდავია; სოკრატე ადამიანია; მაშასადამე, სოკრატე მომაკვდავია. დანასკვი კანონიერად გამომდინარეობს წინამძღვართაგან, მაგრამ ხომ შეიძლება ვიკითხოთ: რამდენად კანონიერია თვით საფუძველი „ადამიანი მომაკვდავია“?

საფუძველი თვითონ საფუძვლისა უნდა იყოს როგორმე იმ სახით გამოყვანილი, რომ საჭირო აღარ შეიქნას იმისი კითხვა თუ რას ემყარება ახალი საფუძველი. ასეთი საფუძველი, რომელიც თვითონ აღარ საჭიროებს ახალ საფუძველს იწოდება უმაღლეს საფუძველად.

**§ 87. ემპირიული და რაციონალი დასაბუთება.** იმის და მიხედვით, თუ როგორია უმაღლესი საფუძველი, თვით და-

საბუთება ორგვარად წარმოიდგინება. მართლაც, ერთს შემთხვევაში უმაღლესი საფუძველი შეიძლება იყოს ცდა. მაგ. ლითონი რომ კარგი გამტარებელია ელექტრობის, ამაში საბოლოოდ გვარწმუნებს ცდა, რომელსაც არც ერთხელ არ გაუმტყუნებია მოყვანილი დებულება. მაშასადამე, ერთს შემთხვევაში დასაბუთების უმაღლესი საფუძველია ცდა და დასაბუთებაც იწოდება ცდისეულად ანუ ემპირიულად.

მეორე შემთხვევაში  $A=B$ ;  $B=C$ ; მაშასადამე,  $A=C$ . რას ემყარება ეს დასკვნა, როგორც უმაღლეს საფუძველს? აქსიომას: ორი სიდიდე თანასწორი მესამესთან, ერთი მეორის თანასწორიც არიან. ეს თავის თავად ცხადი დებულებაა; რომელიც თანასწორობის ცნების შინაარსს გამოხატავს. მასში დასარწმუნებლად საკმაოა ცნების მოაზრება, და ამიტომაც თვით დასაბუთებაც იწოდება რაციონალ (გონებრივ) დასაბუთებად.

**§ 88. ინდუქცია და დედუქცია.** უმაღლეს საფუძველთა მიხედვით გარჩევა ემპირიულ დასაბუთების რაციონალ დასაბუთებისაგან დაკავშირებულია აგრეთვე მტკიცების განსხვავებასთან. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაბუთებას საფუძველად უდევს ცდა, ჩვენ გვაქვს ერთი მეთოდი მტკიცებისა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი საფუძველია გონება (ცნება)— მეორე მეთოდი.

ცდაზე დაფუძნებულ დასაბუთების მტკიცების მეთოდია ინდუქცია, ხოლო გონებაზე (ცნებაზე) დამყარებულის— დედუქცია. რით დახასიათდება თითოეული მათგანი?

ცდაზე დაფუძნებული დასაბუთება იწყებს კერძობითი მოვლენებით და ათავებს ზოგად დებულებით. მაგალ. ელექტრობის კარგი გამტარებლობა უნდა აღნიშნულ იქნას ყოველი კერძოდ აღებულ ლითონის შესახებ, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ზოგადი მსჯელობა, რომელიც ფიზიკურ კანონს გამოსთქვამს: „ყოველი ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია“. ამ რიგად, ინდუქცია არის მტკიცების ისეთი მეთოდი, რომელიც იწყებს კერძობითიდან და მიდის ზოგადისაკენ.

დედუქცია საწინააღმდეგო გზით მიდის. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს ზოგადი დებულება და ვავრცელებთ მას კერძობით მოვლენებზე. მაგ., „ყოველი ადამიანი მომაკვდავია“, ეს ზოგადი დებულებაა და ჩვენ ვავრცელებთ მას სოკრატეზედაც, როგორც ადამიანთა კერძობით სახეობაზე. ამიტომაც, დედუქცია არის მტკიცების ისეთი მეთოდი, რომელიც იწყებს ზოგადით და მიდის კერძობით ისაკენ.

დედუქციის საკმაო გამოხატულებას იძლევა სილლოგიზმი; ამიტომაც მისი განსაკუთრებული განხილვა საჭირო აღარაა. სილლოგიზმის მთავარი წინამძღვარი ის ზოგადი დებულებაა, რომლიდანაც ჩვენ მივდივართ კერძობით მოვლენების დამტკიცებისაკენ. განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს მხოლოდ ინდუქცია.

**§ 89. ინდუქციის მიზანი.** ინდუქციის საშუალებით ჩვენ უნდა გავარკვიოთ, როგორი კავშირია ორ მოვლენათა შორის ე. ი. რომელია მიზეზი და რომელი — შედეგი. ამისათვის ერთგვარი დაკვირვებაა საჭირო, რომლის მეოხებით ჯერ უნდა მოვახერხოთ თითოეულ მოვლენის გამორჩევა და შემდეგ კი მათი კავშირის სიმტკიცეში დარწმუნება. რადგან ეს არც ისე ადვილი საქმეა, ამიტომაც სხვა და სხვა დროს გამოიმუშავდა წესები საინდუქციო დაკვირვებისა. ყველაზე მართებული და მიზანშეწონილი მეთოდები შეიმუშავა ინგლისელმა ლოდიკოსმა მილლმა, რომელთაც პირდაპირ მილლის მეთოდებს უწოდებენ.

**§ 90. ერთად-ერთი მზგავსების მეთოდი.** მილლის მეთოდები ორ ჯგუფად გაიყოფებიან: მარტივ და რთულ მეთოდებად. პირველთაგან ყველაზე ადვილი და მასთან საჭიროა მეთოდი ერთად-ერთი მზგავსებისა. მის ნათელსაყოფად სრულიად საკმარისია შემდეგი მსჯელობა: ვიღებთ რამოდენიმე შემთხვევას, რომელთაც თან სდევს, როგორც მათი შედეგი, მოვლენა Y. ამ შემთხვევებში ჩვენ ვგულისხმობთ Y-ის მიზეზს, მაგრამ გარკვეულად ვერ წარმოგვიდგენია იგი, სანამ არ შევამჩნევთ, რომ აღებულ შემთხვევათა მთელ რიგს ახასიათებს ერთი და იგივე X. სქემატიურად ეს ასე წარმოიდგინება:

მოვლენას	XABC	თანსდევს	მოვლენა	Y
"	XABD	"	"	Y
"	XACD	"	"	Y
"	XCDE	"	"	Y

ვამჩნევთ რა, რომ X ერთად-ერთი ნიშანია, რომელიც თან ახლავს იმ მოვლენას, რომლის შესახებ ვფიქრობთ, რომ მიზეზი მასში უნდა იყოს დაფარული, ჩვენ დავასკვნით, რომ Y-ის მიზეზი უნდა იყოს X-ი. ეს მით უფრო მისაღებია, რომ ყველა სხვა ელემენტი კიდევ რომ არ იყოს, მოვლენა Y-ს მაინც ადგილი ჰქონდა. მაშასადამე, ყოველი ელემენტი, გარდა X-ისა, არ ყოფილა Y-ისათვის მნიშვნელოვანი.

ასეთ დაკვირვებას ხშირად ემყარება, მაგ., მედიცინა. ციება უჩნდება მცხოვრებლებს სხვა და სხვა პირობებში, განსხვავებულ გეოგრაფიულ პუნქტებში, განსხვავებულ კულტურულ პირობებში და სხვ. მიუხედავად ამ პირობათა სხვაობისა, არის ერთი რამ, რაც ყოველ შემთხვევაში წინ უსწრებს ციების გაჩენას. ეს არის ჭაობის ანაორთქლი. მაშასადამე, ციების მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ ერთ თვისებაში, რომელიც მუდამ წინ უსწრებს ციებას, როგორც შედეგს. საფრველდღეო ცხოვრება იძლევა ძალიან ბევრ მაგალითს ერთად-ერთი მზგავსების მეთოდით სარგებლობასა.

**§ 91. ერთად-ერთი განსხვავების მეთოდი.** ვიღებთ ორ შემთხვევას, რომლებიც განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ერთისა და იმავე ნიშნის ქონება-არქონებით. ამასთანავე ვამჩნევთ, რომ ერთ შემთხვევაში აღებულ მოვლენას თანსდევს მეორე მოვლენა Y, მეორე შემთხვევაში კი არა. მაგ.:

მოვლენას	XABC	თანსდევს	მოვლენა	Y
"	ABC	არ სდევს	თან	მოვლენა Y.

უნდა ვიფიქროთ, რომ X ან სრული მიზეზია Y-ისა და ან ამ მიზეზის ნაწილი. მაგ., მეცნიერი—ბუნების მეტყველი არკვევს, რომ თუ ჰაერში ბლომად მოიპოვება მჟავბადი, ცხოველი ადვილად და მსუბუქად სუნთქავს; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მჟავბადი მცირეა, ცხოველს სული ეხუთება და

ვერ სუნთქავს. აქიდან მეცნიერი დაასკვნის, რომ მეაზბადრ. ყოველ შემთხვევაში აუცილებელი ნაწილია ცხოველის მსუბუქი სუნთქვის მიზეზისა. ამ შემთხვევაშიაც საყოველღეო ცხოვრება იძლევა აუარებელ მაგალითს განსხვავების მეთოდით სარგებლობისა.

**§ 92. მეთოდი ერთად-ერთი ცვლილებისა.** შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი მოვლენის ცვლილება იწვევს მეორე მოვლენის ცვლილებას. ამას, რა თქმა უნდა, წინ უსწრებს ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვეულებრივად წინანდელ პირობებში ერთი მოვლენა მეორის მიზეზი იყო. უამისოდ ჩვენ ვერც ცვლილებას შევამჩნევთ.

$X_1AB$  შემდგომ ადგილი ჰქონდა მოვლენა  $Y_1$ .

$X_2AB$  შემდგომ " " " "  $Y_2$

ცხადია, რომ, ვიდრე ცვლილებათა კავშირს გავარკვევდეთ, უნდა ვიცოდეთ, რომ პირველი შემთხვევა, ე. ი.  $X_1$  და  $Y_1$  შუა არსებული მიზეზობრივი მიმართება უტყუარია. ამის შემდეგ იცვლება თუ არა  $X_1$  და იღებს  $X_2$ -ს სახეს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის არის ან მთელი ან ნაწილობრივი მიზეზი  $Y_2$ -ისა, რადგან სხვა ყველაფერი, ე. ი.  $AB$  უცვლელი რჩება.

ასეთი მეთოდით ხშირად ვსარგებლობთ ჩვენს საყოველღეო პრაქტიკაში. ასევე გავრცელებულია იგი მეცნიერებაშიაც. პირველის მაგალითია მოწაფე წინ მიდის და წარმატების გზას ადგია, ვიდრე იგი კარგს წრეში ტრიალებს. გამოიცვალა ამხანაგების წრე, ნაცვლად კარგი ამხანაგებისა მოწაფეს გაუჩნდა ცუდი, ზარმაცი, უზნეო ამხანაგები და იგი დაქვეითდა, როგორც სწავლის საქმეში, აგრეთვე ზნეობითაც. მეორე მაგალითი: ფიზიკურ კაბინეტში ჩვენ ვაცხელებთ საგანს (რკინის ბურთს), და ვამჩნევთ, რომ იგი დიდდება და რკალში ვერ გადის. ვაცივებთ და საგანი მაშინვე პატარავდება და რკალშიაც თავისუფლად გადის.

**§ 93. მეთოდი დანარჩენისა.** ვსთქვათ, გვაქვს ორი რთული მოვლენა. ერთი არის საერთოდ მიზეზი მეორე მოვლენე-



ნისა. თუ ჩვენ შევსძელით და შედეგის ნაწილების მიზეზი გამოვჩინებთ პირველი რთული მოვლენის ნაწილებში, დანარჩენი ნაწილი შედეგისა უნდა აიხსნას მიზეზის დანარჩენი ნაწილიდან.

**XAB** არის მიზეზი **YMN**-ის.

აქიდან გამოვარკვეით, რომ

**AB** არის მიზეზი **MN**-ისა

მაშინ უეჭველია, რომ **X** არის მიზეზი **Y**-ის.

ამ მეთოდს დიდი მეცნიერული დამსახურება აქვს. მისი დახმარებით ვარსკვლავთმრიცხველმა ლევერიემ აღმოაჩინა ახალი პლანეტა ნეპტუნი. საქმე შემდეგნაირად იყო: პლანეტა ურანი, რომელიც უკვე ცნობილი იყო თავის მოძრაობაში, არ ემორჩილებოდა საესებით იმ გეზს, რომელიც მათემატიკურად იყო გამოანგარიშებული. დიდი ნაწილი ამ გეზისა თავის მიზეზების მხრივ გამორკვეული იყო, მაგრამ რჩებოდა კიდევ ისეთი რამ, რომლის მიზეზი ნათელი არ იყო. მაშინ ლევერიემ მიიღო წინასწარ ანგარიშის ძალით, რომ უნდა არსებობდეს გარკვეულ ადგილზე ჯერ შეუცნობელი პლანეტა, რომელიც ახდენს გავლენას ურანის გეზზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ასეთი პლანეტა მართლაც აღმოაჩინეს და ამრიგად ნათელი გახდა დანარჩენი მიზეზი დანარჩენი შედეგისა. ამ მეთოდით განსაკუთრებულად სარგებლობს ქიმია, სადაც ელემენტებს და მათი შეერთება გამოკლებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**§ 94. რთული მეთოდები: შეერთებული მეთოდი ერთად-ერთ მზგავსებისა და განსხვავებისა.** ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ვენდოთ ერთად-ერთ მზგავსების მეთოდს. შეიძლება ძალიან დიდი ხნის დაკვირვების გზით შევამჩნიოთ ერთი უცვლელი ელემენტი მოვლენებისა, მაგრამ აქიდან კიდევ არ შეიძლება დარწმუნებით დავასკვნათ, რომ სწორედ ეს ერთი ელემენტი არის მიზეზი. ჩვენი რწმენის განსამტკიცებლად საჭიროა მივმართოთ განსხვავების მეთოდსაც, ე. ი. მივხედოთ, თუ მოიხპობა შედეგი იმ შემთხვევაში, როდესაც არაა ერთად-ერთი მზგავსების გზით მიღებული ელემენტი. ჩვენ ვხედავთ, რომ **Y** თანსდევს **XABC**, მაგ. **Y** აღარაა თუ გვაქვს **ABC**

„	У	„	ХАВД	„	„	АВД
„	У	„	ХАСД	„	„	АСД
„	У	„	ХСДЕ	„	„	СДЕ

ცხადია, რომ ახლა გაცილებით უფრო მეტი საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ სწორედ X ყოფილა Y-ის მიზეზი.

მაგალითად, ბუნებისმეტყველმა შეამჩნია, რომ რაიმე მცენარე აღმოცენებულია მხოლოდ გარკვეულ ნიადაგზე (ერთადერთი მზგავსების მეთოდი) სადაც სხვა ნიადაგია, იქ ეს მცენარე არ იპოვნება (განსხვავება). მაშასადამე, მხოლოდ იმ გარკვეულ თვისების მქონე ნიადაგზე ყოფილა შესაძლებელი აღებული მცენარე. საყოველღეო მაგალითის მოყვანაც შეიძლება: ვსთქვათ, რაიმე საკმელი ჩემზე ცუდათ მოქმედობს (მზგავსება). როდესაც მე მას არ ვსკამ, ყოველთვის ჯანსაღად ვარ (განსხვავება). მაშასადამე, მე საბოლოოდ დარწმუნებული ვარ, თუ რა საკმელია ჩემთვის მაწყენარი.

**95. ინდუქციის მეთოდების ღირებულების მთავარი პირობა.** ყველა აღნიშნული მეთოდი სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა, თუ დაცული არ იქნება ერთი მთავარი პირობა: თუ ბუნების მოვლენებს შორის ერთგვარი, სრულიად გარკვეული ურთიერთობა არ არსებობს. ბუნების მოვლენათა შორის სრულიად გარკვეულ კავშირსა და ზიზარტებას მიღღმა უწოდა ბუნების ერთგვარობის პრინციპი. მისი დარღვევა ყოვლის უპირველეს ორ შემთხვევაში გამოიხატება და ორივე შემთხვევა ფრიად სახიფათოა ინდუქციისათვის.

1) მიზეზთა მრავალგვარობა. ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება იყოს ერთი მიზეზის შედეგი ან მრავალ სხვა და სხვა გვარ მიზეზისა, ე. ი. ერთ შემთხვევაში იგი იყოს C, მეორეში D, მესამეში E და სხვ. მაგ., სითბო შეიძლება გამოწვეულ იყოს მზის სხივებით, ცეცხლით, ხეხვით ე. ი. ფიზიკურად, ქიმიურად, მექანიკურად.

2) მიზეზთა შეჯახება. შეიძლება ერთი და იგივე მოვლენა გამოწვეულ იქნას არა რამოდენიმე განსხვავებული მიზეზით, არამედ რამოდენიმეს ერთდროულ მოქმედებით. ამ

შემთხვევის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს უკუ-მოქმედება ე.ი. როდესაც ერთი მოვლენა მეორეზე მოქმედებს და თავის მხრივ განიცდის მის ზემოქმედებას. მაგ., მცენარის კარგს ზრდას ხელს უწყობს: ნოყიერი ნიადაგი, ჰაერი, სინოტიე, ტემპერატურა და სხვ. ანუ კიდევ: ადამიანის ფიზიკური ორგანიზაცია ახდენს გავლენას მის სულიერ განწყობილებაზე, მაგრამ იგივე სწორია პირუკუ—სულიერი სიმშვიდე ახდენს გავლენას ფიზიკურ ჯანსაღობაზე.

ორივე შემთხვევაში არ გამოდგებიან ინდივიდუალური მეთოდები, რადგან გაუქმებულია მათი დიფერენციალური მთავარი პირობა: ბუნების ერთგვარობა. მართლაც და, ავიღოთ თუნდაც მიზეზთა მრავალგვარობა: თუ ერთსა და იმავე მიზეზს შეუძლია სხვა და სხვა გვარი შედეგი იქონიოს, ან ერთი და იგივე შედეგი შეიძლება გამოწვეულ იქნას სხვა და სხვა მიზეზით, ჩვენ ვერაფერს ვერ გავაწყობთ იმით, რომ ერთ შემთხვევაში დავაგროვებთ ერთი ნიშნის მქონე მოვლენებს, რადგან შეიძლება ის სრულიადაც არ იყოს მიზეზი. მაგ., შეიძლება ყოველ ცეცხლის ანთებას თან მოჰყვეს სითბო და საზოგადოდ ცეცხლის სახეობას ერთი ნიშნობლივი თვისება ჰქონდეს (მაგ., დაწვის პროცესი), მაგრამ ყოველი სითბო, რომელსაც ჩვენ ცდის ნიადაგზე შევხვდებით, სრულიადაც შეიძლება არ იყოს ცეცხლის შედეგი. ან განსხვავების მეთოდი რომ ავიღოთ, შეიძლება ერთ შემთხვევაში იყოს ცეცხლი და სითბო მისი შედეგი, ხოლო მეორე შემთხვევაში არ იყოს ცეცხლი, მაგრამ მიუხედავად ამისა სითბო მაინც იყოს.

§ 96. **შეცდომები დასაბუთებაში.** ჩვენ ვიცით, რომ ყოველი დასაბუთება სამი ნაწილისგან შედგება: დებულება, საფუძველი და მტკიცება. შეცდომებიც, ამის მიხედვით, სამგვარია.

1) შეცდომა დებულებაში. ხშირად ჩვენ გვგონია, რომ ვეხებით რომელსამე გარკვეულ მდგომარეობას და ნამდვილად კი სულ სხვას ვამტკიცებთ, ვიდრე საჭიროა. ასეთ შეცდომას ეწოდება „დასაბუთების შეცდომა“.

ამ შეცდომის ყველაზე ნათელ სახეობად უნდა ჩაითვალოს ე. წ. ადამიანის მიმართ მტკიცება. მაგალ., როდესაც ხელოვნების ნიმუშის შეფასებაში შეგვაქვს მისი დაფასება რაიმე პრაქტიკული მიზნისთვის გამოსადეგრობის თვალსაზრისით.

2) შესახებ საფუძვლისა ლოლიკა არჩევს სამს მთავარ შეცდომას:

ა) „ძირითადი შეცდომა“ ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საფუძვლის მიღება გვაიძულებს აშკარად მიუღებელ დასკვნამდე მივიდეთ. მაგ., ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არავის არ შეუძლია ხელი აიღოს იმაზე, რაც თვითონ არ შეუქმნია. ასეთი საფუძველი რომ მივიღოთ, მაშინ ადამიანს არ შეუძლია არც მემკვიდრეობით მიღებულის გაჩუქება; არც თმის მოპარსვა და სხვ. მაშასადამე, აქ შეცდომა თვითონ ძირითადს საფუძველშია.

ბ) „რაგინდარა საფუძველი“ შემთხვევით აღებულის და შესაფერისად განუხილველ საფუძვლის მიღება; მაგ., ქართველები ვაჟკაცებია“, აქედან აუცილებელი უნდა იყოს, რომ ყოველი კერძოდ აღებული ქართველი უეჭველად ვაჟკაცია, რაც სინამდვილეს ხშირად ეწინააღმდეგება.

გ) „მაცდური წრე“ როდესაც პირველ დებულებას ჩვენ ვამტკიცებთ მეორე დებულებით, ხოლო მეორეს პირველით. მაგ., ღმერთის ყოველშემძლეობით—მის არსებობას; ხოლო მისი არსებობით—ყოველშემძლეობას.

3) რაც შეეხება მტკიცებას, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ერთი „შეცდომა მოჩვენებითი აუცილებლობისა“ ე. ი. დებულების საფუძველთან მხოლოდ გარეგნულად დაკავშირება. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დასკვნა სრულიად არ გამომდინარეობს საფუძველიდან. ჩვეულებრივ პირობებში ასეთი შეცდომა იშვიათად ხდება და მისთვის საუკეთესო პირობას შეადგენს გრძნობათა აღტყინება და სხვა დაგვიარი მოვლენები. (მაგ. პათოსი—სიტყვის წარმოთქმის ან სიყვარულის ახსნის დროს).

4) ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა ძალიან ხშირია დასაბუთების იმ სახეობაში, რომელიც მომეტებულად ცდის დაკვირვებას ემყარება. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც უბრალო თანმიმდევრობა დროში—მიზეზობრივ მიმართებათ წარმოიდგინება. ამ შეცდომას გრძელი სახელი აქვს, რომელიც პირდაპირ გადმოგვცემს მის ბუნებას. „მას შემდეგ, მაშასადამე, მის გამო.“ ასე მაგ., გორი რევოლიუციის დროს დაინგრა. ზოგიერთების აზრით ერთი მიზეზია და მეორე შედეგი, ე. ი. რევოლიუციამ გამოიწვია მიწის ძვრა და გორის დანგრევა.

§ 97. ანალოგია. ადამიანის აზროვნებას მჭიდრო კავშირი აქვს მთელ მის სულიერ ცხოვრებასთან. ცნება, მსჯელობა, სილლოგიზმი ისე, როგორც დასაბუთების მთელი შენება, ადამიანის ცნობიერების ჰორიზონტზე იშლებიან და ამიტომაც სულიერ ცხოვრების დანართიც ახლავთ ხშირად.

ხშირად აზროვნების აპარატს ჩვენ მოვიხმართ არა მარტო ერთს გარკვეულ შემთხვევაში, არამედ იმ შემთხვევაშიაც, რომელიც ჩამოგავს პირველს. ვსთქვათ  $A_1$ -ს შესახებ ჩვენ გარკვეული ცოდნა გვაქვს;  $A_2$  ჩამოგავს  $A_1$ -ს მთელ რიგ თვისებით. ჩვენ უნებლიედ გვიჩნდება მოლოდინის გრძნობა, რომ  $A_2$  დაემზავსება  $A_1$ -ს იმ მხრივაც, რომელიც ჩვენთვის ჯერ არაა ნათელი.

მაგ. კატის და ვეფხის გვარეობათა შუა დიდი მზგავსებაა ორგანიზაციის მხრივ. ამასთან ჩვენ ვიცით, რომ კატა ხორციით მასაზრდოებელია; აქედან ჩვენ მოველით, რომ ვეფხიც ხორციით მასაზრდოებელია. მეორე მაგალითი: დედამიწასა და პლანეტა მარსს შორის დიდი მზგავსებაა: ჰაერი იქაც და აქაც, ღრუბლები, ზღვები, მუდმივ თოვლიანი (პოლიარი) მიდამოები და სხვა.; რადგან ჩვენ ვიცით, რომ ასეთს პირობებში დედამიწაზე აღგილი აქვს ორგანიულ ცხოვრებას—მოველით, რომ მარსზედაც ასეთივე ცხოვრება უნდა იყოს. მზგავსების ნიადაგზე აღმოცენებული მოლოდინი დამატებითი - ნიშნების ქონებისა იწოდება ანალოგიად.

§ 98. ჰიპოთეზა. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ჯერ კიდევ ცხადი არაა ჩვენთვის მოვლენების მიზეზი. ცდა გვარწმუნებს, რომ აღებული მოვლენები რაღაც გარკვეულ წესებს ემორჩილებიან, მაგრამ რომელს სახელდობრ ჯერ-ჯერობით სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ გაგვირკვევია. ასეთ შემთხვევებში იძულებული ვხდებით დაუშვათ ერთგვარი მიზეზი მოვლენების ასახსნელად. ასეთი განზრახ დაშვება რაიმე მიზეზისა მოვლენების ასახსნელად იწოდება ჰიპოთეზად.

მაგალითი: მიწის ძვრა ან ვულკანური მოვლენები თავისი მიზეზების მხრივ პირდაპირ მისაწდომი არ არიან; მეცნიერება იძულებულია დაუშვას საეგებისო მსჯელობა — დედამიწის შუაგულში ჯერ გაუნელებელი ცეცხლის მასსაა, რომლის ესა თუ ის ცვლილება იწვევს აღნიშნულ მოვლენებს.

ჰიპოთეზა ხშირად ხელოვნურია და იგი არასოდეს არ გარდაიქცევა ნამდვილ ცოდნად, მაგრამ მაინც სასარგებლოა მეცნიერულ მუშაობისათვის: ასეთია ატომების თეორია.

ხშირად დამატებითი დაკვირვების და შესწავლის გზით შესაძლებელია ჰიპოთეზა გარდაიქცეს ნამდვილ ცოდნად. ასეთია მაგ. ნიუტონის კანონი მსოფლიო მიმზიდველობისა.



# შინაარსი

	გვერდი
წინასიტყვაობა . . . . .	2
წინასწარი განმარტებანი . . . . .	3—6
აზროვნების კანონები . . . . .	6—10
ცნება . . . . .	10—16
ცნების გაყოფა . . . . .	16—19
განმარტება . . . . .	19—23
მსჯელობა . . . . .	23—32
სილლოგიზმი . . . . .	33—48
დასაბუთება . . . . .	49—61

---

შეცდომების გასწორება.

გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
3	ქვ. 5	დადებით	დადებითი
6	ზევ. 1	ლოლიკას	ფსიქოლოგიას
9	„ 1	გამორიცხულ	გამორიცხულ
„	ქვ. 15	მთავირი	მთავარი
„	„ 3	სინამდვილისაც	სინამდვილესაც
12	„ 11	თვალსაზრასით	თვალსაზრისით
13	„ 10	ცხოვრების	ცხოვრების
14	ზევ. 2	ინტერსეით.	ინტერესით.
16	„ 13	სწურკუთხოვანი	სწორკუთხოვანი
„	„ 15	მოცულობა	მოცულობას
23	ქვ. 1	ორხმრიანობა	ორმხრიანობა
25	ზევ. 14	ივანე	სოკრატე
36	„ 1	ფატიურად	ფაქტიურად
„	„ 2	ფორმათკ	ფორმათ კი
„	„ 5	მსჯელობ	მსჯელობა
37	„ 15	ერთიანიად	ერთნაირად
39	ქვ. 17	მომაკადავია	მომაკვდავია
45	ზევ. 8	დასკვნათ	დავასკვნათ
46	„ 6	მეორე	—
47	„ 5	წმინამძღვარი	წინამძღვარი
47	„ 12	დადებითად	უარყოფით-დადებითად
48	„ 9	გავაცხლეთ	გავაცხელეთ

სამწუხაროთ გვერდებათ შეკვრის დროს შეშლილ იქნა §5-ს ციფრები: 2<sup>9</sup> შემდეგ მიღის 31 და შემდეგ პირდაპირ 41; თვითონ ტექსტი სწორია.



